აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№94 (25.118) 13 - 19 ოქტომბერი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 14-19 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 23 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი. ხვალ ღამით მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

შეხვედრა თურქეთის მთავარ ომბუდსმენთან

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე თურქეთის მთავარ ომბუდსმენ შერეფ მალკოჩს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი ქვეყნებს შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში თანამშრომლობას შეეხო

თორნიკე რიჟვაძის თქმით, თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება ვაჭრობის, ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ჯანდაცვის სფეროებში.

თორნიკე რიჟვაძემ მეზობელ ქვეყანას ყველა პლატფორმაზე საქართველოს ურყევი მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კიდევ უფრო აქტიურად ითანამშრომლებენ ყველა იმ უფლებრივ საკითხზე, რაც საქართველოსა და თურქეთში მცხოვრები ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია, აჭარის მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას თურქეთის სახალხო დამცველის მოადგილე ჯალილე ოზლემ თუნჩაქი, თურქეთის რესპუბლიკის კონსული ბათუმში რიზა ქააღან ილმაზი, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი თინათინ ზოიძე ესწრებოდნენ.

13 პროექტი და ათობით ბიზნესმენი – მოსწავლეთა იდეების დასაფინანსებლად

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმმა „სკოლა - ბიზნესის ფორუმს“ უმასპინძლა, რომელიც „იუსაიდის“ სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. ფორუმზე ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლები მოსწავლეების მიერ შექმნილ 13 პროექტს გაეცნენ, რომელთა მიზანი სხვადასხვა სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარება იყო. მოზარდებმა თავიანთი ხედვა გაუზიარეს ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს, რათა ეპოვათ მსგავსი საკითხებით დაინტერესებული კომპანიები მოწონებული პროექტის დასაფინანსებლად

- ჩვენი სკოლა „იუსაიდის“ სამოქალაქო განათლების პროგრამაში ჩაერთო საკუთარი პროექტით - „მწვანე მოაზროვნე“. ჩვენი მიზანია სკოლის ტერიტორიაზე მცირე სასათბურე მეურნეობისა და ეკოლანდშაფტების მოწყობა, მცენარეთა გამოყვანა, გარემოსდაცვითი და სამეურნეო უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში. პროექტის განხორციელებისთვის გვჭირდება 1400 ლარი. იმედია, ვინმეს აუცილებლად დავაინტერესებთ. ამ თანხით, გარდა სასათბურე მეურნეობის მოწყობისა და მცენარეების გამოყვანისა, გვსურს სასწავლო ექსკურსიების ორგანიზება სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, სამეწარმეო ფესტივალის მოწყობა, სადაც გავყიდით მცენარეებს, საქველმოქმედო კამპანიას წარვმართავთ მოწყვლადი ჯგუფებისთვის. როგორც იცით, მე-16 საჯარო სკოლა, რომლის მშენებლობაც მალე დასრულდება, არის საბუნებისმეტყველო პროფილის. სკოლას ექნება შესაბამისი მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიები, მაგრამ ვთვლით, რომ ეს არ არის საკმარისი პრაქტიკული ცოდნის მისაღებად. ამ იდეის განხორციელება მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას, სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში, უფრო დაახლოვდნენ ბუნებასთან და გამოუმუშავდეთ გარემოზე ზრუნვის ჩვევები, რაც ურბანულ გარემოში მუდმივად მცხოვრები მოსწავლეებისთვის, ხშირ შემთხვევაში, უცხოა, - გვითხრა ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ანრი მელაძემ.

ბათუმის „სკოლა - ბიზნესის ფორუმი“ სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორმა მარინა უშვერიძემ გახსნა. მისი თქმით, პროგრამა წელიწად-ნახევარია ხორციელდება და მისი ერთ-ერთი კომპონენტია ბიზნესისა და სკოლების დაკავშირება.

- მათი დაკავშირება გვინდა იმისათვის, რომ ბიზნესი გახდეს სკოლის მხარდამჭერი. მოსწავლეები გამოდიან ძალიან კარგი, საინტერესო იდეებით და ინიციატივებით, იქნება ეს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ჯანსაღი ცხოვრების წესზე მეტი აქცენტის გაკეთება, კვების სპეციალისტთან შეხვედრები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ოთახის მოწყობა თუ სხვა. სამეწარმეო საკითხებთან დაკავშირებითაც აქვთ იდეები. მაგალითად, ბათუმის პირველ საჯარო სკოლას აქვს იდეა, როგორ უნდა დაამზადოთ ქოთნები ქაღალდის გადამუშავების შედეგად. ამ იდეებს დასაფინანსებლად სთავაზობენ ბიზნესმენებს, რომლებიც დღეს აქ, ჩვენს ღონისძიებაზე იმყოფებიან, შემდეგ უკვე ბიზნესი არჩევს მათთვის საინტერესო სფეროებს, - გვითხრა მარინა უშვერიძემ.

ჩვენ ვესაუბრეთ ბათუმის პირველი საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ელისაბედ ვარშანიძეს, რომელმაც დეტალურად აგვიხსნა, რატომ უნდა დააფინანსოს ბიზნესმა მათი იდეა.

- სკოლაში ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ქაღალდის ნარჩენი გროვდება, მაგრამ არ გაქვთ გადასამუშავებლად. ამასთან, ქალაქის ტერიტორიაზე სულ რამდენიმე ადგილას არის შესაძლებელი მაკულატურის ჩაბარება და ისიც შეზღუდული რაოდენობით. გარდა ამისა, მოსწავლეებმა არ იციან, როგორ შეიძლება სახლში და სკოლაში არსებული ქაღალდის ნარჩენების გამოყენება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ბუნებას. ჩვენი პროექტის ფარგლებში გავაკეთებთ პატარა სათბურებს, განათებით და სარწყავი სისტემით. განათება იქნება ბატარეაზე, ხოლო სარწყავი სისტემა იმუშავებს წნეხზე. სათბურებში ქოთნები იქნება გაკეთებული გადამუშავებული ქაღალდისგან. პროექტის სახელწოდებაა „ვიზრუნოთ ერთად“ და ამისთვის გვჭირდება 1300 ლარი. ასევე, ვგეგმავთ ამ ნარჩენი გადამუშავებული ქაღალდისგან, იმ კომპანიას, რომელიც ჩვენ დაგვაფინანსებს, საჩუქრად დავუმზადოთ სავიზიტო ბარათები. იმედი გვაქვს, აუცილებლად დავაინტერესებთ ჩვენს სტენდთან მოსულ ბიზნესმენებს, - გითხრა ელისაბედ ვარშანიძემ.

ფორუმის მსვლელობისას დაჯილდოვდნენ ის კომპანიები, რომლებმაც გასულ წელს მოსწავლეთა პროექტებს მხარი დაუჭირეს.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲝᲠᲡᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ...

ᲚᲐᲨᲐ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ 593 50 82 69

ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲔᲐᲚᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ. ᲣᲓᲐᲕᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲝᲢᲐᲚᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲪᲮᲐᲓᲧᲝᲤᲡ ᲩᲔᲠ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡ“ ᲓᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ (ᲘᲠᲐᲜᲘ, ᲡᲘᲠᲘᲐ) Ა�გᲠᲔᲡᲘᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ისრაელ-პალესტინის ურთიერთდაპირისპირება ბიბლიური პერიოდიდან იღებს სათავეს. ჩვენ ამაზე არ ვისაუბრებთ. დავიწყოთ ბოლოდროინდელი მოვლენებით. 7 ოქტომბრის დილას არა მარტო ისრაელმა, არამედ მთელმა მსოფლიომ ახალ რეალობაში გაიღვიძა, „ჰამასმა“ ცხადია, სხვადასხვა ქვეყნის მხარდაჭერით, ისრაელზე სამხედრო აგრესია განახორციელა - მის კონტროლირებად ტერიტორიაზე შეიჭრა, ერთი დღის განმავლობაში ასობით ადამიანი დახოცა, ათასობით - დაასახიჩრა, ამდენივე კი მძევლად აიყვანა. ტელევიზიით ყველამ ნახა „ჰამასის“ სისასტიკე, ასეთი არაადამიანობა მანამდე ამ რეგიონში არ ყოფილა, რამაც ისრაელი იძულებული გახადა, ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოეცხადებინა...

სამასი ათასი რეზერვისტის მობილიზება ერთ დღეში შეძლო ისრაელმა, ასიათასიანი რეგულარული არმია ბრძანებას ელოდება ღაზის სექტორის დასაკავებლად. ვიდრე სახმელეთო ოპერაცია დაიწყება ღაზის ტერიტორიაზე, მანამდე ისრაელი საჰაერო დარტყმებს ახორციელებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ, უდანაშაულო მოქალაქეები, მათ შორის ბავშვებიც, იღუპებიან. უნდა ითქვას, რომ „ჰამასის“ მებრძოლები ბავშვებს, ქალებს ფარად იყენებენ ისრაელის არმიასთან საბრძოლველად. ეს მათი ხელწერაა.

უდავოა, რომ რეგიონში, პრაქტიკულად, მესამე მსოფლიო ომის აჩრდილი იკვეთება. საქმე ისაა, რომ შესაძლოა, ამ ომში ჩაერთონ ირანი და აშშ, რაც ცხადია, სავალალო აღმოჩნდება არა მარტო ამ რეგიონისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. შესაძლოა, ამ ქაოსით რუსეთმა და ჩინეთმა ისარგებლონ. ამ მხრივ, ყველას ახსოვს მოსკოვში „ჰამასის“ ლიდერების ამასწინანდელი ვიზიტი. დემოკრატიულ ღირებულებებზე რომ არ ისაუბრებდნენ, ცხადზე უცხადესია. ზოგიერთი ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ისრაელის მიმართ აგრესია მოსკოვსა და თეირანში დაიგეგმა...

ახლა ყველას აინტერესებს, რა მოჰყვება ისრაელის არმიის სახმელეთო ოპერაციას ღაზის სექტორში. თავიდათავი ისაა, რომ ღაზის სექტორი მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა, დაახლოებით ორი მილიონი ადამიანი ცხოვრობს იქ, ფართობი კი თბილისის ნახევარია. ცხადია, თუ ისრაელმა ღაზის სექტორის შტურმი დაიწყო, მსხვერპლი ათიათასობით იქნება, ორივე მხრიდან, თუმცა, როგორც ისრაელის მაღალჩინოსნები აცხადებენ, ამ კრაზანის ბუდეს (ღაზის სექტორი) გაანადგურებენ. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ისრაელი შეძლებს

ამ მიმართებით დასახული მიზნის მიღწევას, მაგრამ აქ საკითხავია ლიბანის მხრიდან „ჰეზბოლას“ სახმელეთო ოპერაცია რა სახეს მიიღებს და, ასევე, სირია და ირანი თუ ჩაერთვებიან ღიად ომში? თუ ეს ქვეყნები ჩაერთვებიან ომში, ცხადია, როგორც ისრაელის მოკავშირე, აშშ ნეიტრალიტეტს არ დაიცავს, რაც, როგორც ვთქვით, მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს. რით დასრულდება ეს სავარაუდო მსოფლიო ომი, რთულია თქმა, რადგან შესაძლოა, მთავარმა აქტორებმა (ირანი, ისრაელი და აშშ) ატომური იარაღი გამოიყენონ, თუმცა იმედია, საქმე აქამდე არ მივა.

როგორც ვთქვით, ეს კონფლიქტი ღირებულებითია - ერთმანეთს დემოკრატიული სისტემა და ტოტალიტარული დიქტატურა უპირისპირდება. ისრაელი დემოკრატიული, დასავლური ყაიდის ქვეყანაა. სამწუხაროდ, პალესტინა ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ. პალესტინელები პრაქტიკულად „ჰამასის“ მძევლები არიან. „ჩვენ ვიცოდით, რა მხეცები იყვნენ „ჰამასის“ წევრები, ახლა მათი არაადამიანობა მთელმა მსოფლიომ ნახა“, - განაცხადა ისრაელის პრემიერმა ნეთანიაჰუმ.

საყურადღებოა ანალიტიკოს გიორგი კობერიძის ანალიზი.

„ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲡ ᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲔᲑᲡ, ᲔᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲜᲢᲘᲔᲑᲠᲐᲣᲚ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲐᲩᲐᲦᲔᲑᲔᲜ

„ღაზის სექტორის ირგვლივ ისრაელის არმიის განლაგება მიმდინარეობს. ის ზღუდეები, რომლებიც აგებული იყო მის ირგვლივ, გარღვეულია „ჰამასის“ თავდასხმების შემდეგ, ზოგიერთს კი თავად ისრაელის ბულდოზერები შლიან. ისრაელის უშიშროების მინისტრმა აღნიშნა, რომ მათი მიზანი „ჰამასის“ სრული ამოძირკვაა“, ეს კი სახმელეთო ოპერაციის დაწყების ლოგიკური წინაპირობაა. „ჰამასის“ წევრები და მხარდამჭერები ისლამურ ქვეყნებს მოუწოდებენ, ჩაებან ისრაელის წინააღმდეგ რელიგიურ ომში, ხოლო მათთვის გამოყონ ჰუმანიტარული დახმარება. ამ მომენტისათვის ღაზის სექტორის მოსაზღვრე ეგვიპტეს ღიად აქვს დაფიქსირებული თავისი პოზიცია, რომ არ აპირებს ღაზასთან საზღვრის გახსნას, რადგან ცნობილია, რომ ეგვიპტეს ალ-სისის რეჟიმი მართავს, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მეტოქეც „ძმები მუსლიმების“ პოლიტიკური ორგანიზაციაა. თავის მხრივ, „ძმები მუსლიმები“ პირდაპირ არიან დაკავშირებული „ჰამასთან“. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, როგორი იქნება ყატარის პოზიცია, რომელიც ჯერჯერობით მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს ყველას, მაგრამ ცნობილია, რომ ყატარში არსებობენ გავლენიანი ძალები, რომლებიც თანაუგრძნობენ და მხარს უჭერენ „ჰამასს“.

დღის განმავლობაში რამდენიმე შეტაკება მოხდა პალესტინის დასავლეთ სანაპიროზე. ყველაზე საშიში სიტუაცია დასავლეთ სანაპიროზე ებრაელთა ახალშენებისა და პალესტინურ დასახლებებს შორის ტერიტორიაა. პრაქტიკულად, ათობით ასეთი ახალშენი პალესტინურ დასახლებებს შორისაა მოქცეული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალშენები კარგადაა დაცული და მათ შორის საგუშაგოებია განთავსებული, ეს გარანტირებულ უსაფრთხოებას ვერ შექმნის, რადგან სწორედ ეს პოლიციური საგუშაგოებია თავდასხმის უმთავრესი სამიზნე. დღესაც იერიშები სწორედ ქალაქ ნაბლუსის სიახლოვეს მდებარე ებრაული ახალშენის მიმართულებით მოხდა. პალესტინელთა მხრიდან არიან დაჭრილები და დაღუპულები. დღის განმავლობაში დასავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში, დასახლება ჯენინის მიმართულებით, ასევე, დიდი რაოდენობით არიან დაშავებულები, აქტიური შეტაკებები კი გრძელდება. ზოგადად, დასავლეთ სანაპიროზე ასეთმა სპორადულმა სროლებმა შესაძლოა, უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინოს. თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს საკმაოდ მკაცრი ტონი აქვს ისრაელთან მიმართებით. მისი ეს მიდგომა არახალია. თურქეთი ისრაელს ადრეც ხშირად აკრიტიკებდა ღაზაში შექმნილი მდგომარეობის გამო და დიპლომატიური ურთიერთობებიც ამის გამო გაურთულდათ. ანკარა ისრაელს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი სექტორში, ვინაიდან საჰაერო იერიშებს მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება. ერდოღანმა აშშ-ის ფლოტის ისრაელისაკენ დაძვრაც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ეს უარეს ესკალაციას გამოიწვევდა“, - აცხადებს გიორგი კობერიძე.

ექსპერტების მოსაზრებით, თუ ისრაელს ომი გაუხანგრძლივდება და მშვიდობიან პალესტინელებში მსხვერპლი მოიმატებს, ეს ისრაელისთვის არასახარბიელო იქნება, რადგან პალესტინელები და მათი მხარდამჭერები მსოფლიოში ანტიებრაულ კამპანიას გააჩაღებენ. არც ის დავივიწყოთ, რომ ისრაელი მტრულ გარემოში ცხოვრობს, ევროპაშიც დიდად არ გულშემატკივრობენ მას, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთსა და მუსლიმანურ ქვეყნებზე.

ჯერჯერობით, ისრაელი საჰაერო დარტყმებს ახორციელებს „ჰამასის“ და „ჰეზბოლას“ პოზიციებზე. თავის მხრივ, ისინიც ბომბავენ ისრაელის ქალაქებს. მიუხედავად იმისა, რომ „რკინის გუმბათი“[1] იგერიებს სარაკეტო შეტევას და დღეში ათასობით რაკეტას ანეიტრალებენ, სამწუხაროდ, რემდენიმე მაინც აზიანებს მშვიდობიან მოსახლეობას.

იმედია, ომი დიდხანს არ გაგრძელდება და მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ, ცხადია, საერთაშორისო სამართლის პრინციპების და სუვერენიტეტის დაცვით, ეს კი მაშინ მოხდება, როცა პალესტინელები, უფრო სწორად, მათი მოკავშირეები შეეგუებიან ისრაელის სახელმწიფოს არსებობას.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

* * *

ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მეხუთე ფაზის სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შედავათიანი სესხისა და გრანტის ფარგლებში ხორციელდება, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და საკონსულტაციო განმახორციელებელი კომპანიის „პოში და პარტნიორების“ პროექტის მენეჯერმა ერიხ კაშკამ ხელშეკრულება გააფორმეს. არჩილ ჩიქოვანის თქმით, აღნიშნული პროექტის განხორციელებით ათეულობით წლის განმავლობაში არსებული პრობლემა მნიშვნელოვნად გადაიჭრება.

* * *

საქართველოს განათლების მინისტრ გიორგი ამილახვარის განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის თანახმად, 2025-2026 სასწავლო წელს პირველ კლასში სწავლის დაწყება შეეძლება ყველას, ვისაც 31 დეკემბრის ჩათვლით შეუსრულდება ექვსი წელი. მისივე თქმით, მშობელს აქვს შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს, როდის მიიყვანოს ბავშვი სკოლაში.

* * *

სექტემბრის ბოლოს ბათუმის ხელოვნების ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც ჩვენმა ქალაქმა 8 ოქტომბრის ჩათვლით უმასპინძლა. ფესტივალი ფონდ „ლირას“ ორგანიზებით მეათე წელია ტარდება. აღნიშნული ფონდი ცნობილმა პიანისტმა, იუნესკოს მშვიდობის არტისტმა, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ 2013 წელს დააარსა.

საიუბილეო ფესტივალმა მსმენელს განსაკუთრებულად მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზა (თუმცა თავისი შინაარსით ეს ფესტივალი ყოველ წელსაა გამორჩეული). ჩვენს ქალაქს ცნობილი ხელოვანები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ეწვივნენ.

* * *

აგროსასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების მე-11 საერთაშორისო გამოფენა „აგრო ბათუმი 2023“ 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სპორტის სასახლეში, საკუთარ სტენდზე ადგილობრივ და უცხოელ მწარმოებელ კომპანიებს სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდათ სამეურნეო დანიშნულების დანადგარები. გამოფენაში 5 ქვეყნის 50 -ზე მეტი კომპანია მონაწილეობდა. მათ დახურვის ცერემონიაზე სერტიფიკატები გადაეცათ.

* * *

შიდა ტურიზმის მასტიმულირებელი კამპანია „გამომყევი აჭარაში“ დასასრულს უახლოვდება, რომელიც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა აგვისტოში დაიწყო და 15 ოქტომბერს დასრულდება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი კამპანიის „გამომყევი აჭარაში“ შედეგებს ოქტომბრის ბოლომდე შეაჯამებს და გამარჯვებულებს გამოავლენს. მთავარ პრიზს - 100 000 ლარს მოიგებს ის მონაწილე, რომელიც კამპანიის პერიოდში აჭარაზე გამოქვეყნებული პოსტებით, ვიდეოებითა და რილსებით დააგროვებს მაქსიმალურ წვდომას, რაც ჯამში უნდა აღემატებოდეს 10 მილიონს, მაქსიმალური წვდომების მქონე ხუთეულს კი 20000-20000 ლარის მოგების საშუალება ექნება. კამპანიის შემაჯამებელი ღონისძიება ოქტომბრის ბოლო კვირას გაიმართება.

* * *

სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრი, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, აჭარაში მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს განაგრძობს.

მავნებლის განადგურების მიზნით, ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ფართობები თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ამ დროისათვის უკვე დამუშავებულია 12 500 ჰა ფართობი.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლის ფარგლებში, აჭარასა და კახეთში 4 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს. „მოქალაქეებს დაურეგისტრირებელი ლენტური ტიპის სახერხი დანადგარები კუთვნილ მიწის ფართობზე და სპეციალურად მოწყობილ შენობა-ნაგებობაში ჰქონდათ დამონტაჟებული. 2 უკანონო ლენტური ტიპის სახერხი დანადგარი დაილუქა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში - შუბანსა და დარჩიძეებში. ვინაიდან ოთხივე ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

* * *

ბათუმში ფესტივალი „ღვინის დღეები“ საზეიმოდ გაიხსნა. ფესტივალზე ქართული ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა, შედგა. მოეწყო კვების სივრცე, სადაც ფესტივალზე მისულ ადამიანებს დახვდათ პროფესიონალი მზარეულების მიერ მომზადებული ტრადიციული კერძები.

ფესტივალის დამთვალიერებლები ჩართულები იყვნენ ჩურჩხელის ამოვლების, ფელამუშის მომზადების, თონეში პურის ცხობის საქმეში. „ღვინის დღეები“ საქართველოს მასშტაბით, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით იმართება.

* * *

დასავლეთ საქართველოში ყველაზე მასშტაბური მულტიბრენდული სავაჭრო ცენტრი „გრანდ მოლი“ გაიხსნა. იგი ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №29 ნომერში მდებარეობს. მულტიბრენდული კონცეფციის მოლი ტანსაცმლის, თეთრეულის, აქესესუარებისა თუ ტექნიკის ბრენდმაღაზიებს, ასევე, გასართობ, ფიტნეს და კვების ობიექტებს აერთიანებს.

„ბათუმი გრანდ მოლთან“ პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება საქართველოს ბანკმა, ასევე, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გააფორმეს.

პროექტის ჯამური ღირებულება 20 მილიონი ევროა, სესხის მოცულობა 7 მილიონ ევროს შეადგენს, რაც სრულად სავაჭრო ცენტრის მშენებლობის დასრულებას მოხმარდა. პარტნიორობის ფარგლებში, ენერგოეფექტური დანადგარებისა და სამშენებლო მასალებისთვის კომპანიამ დამატებით მიიღო გრანტი საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროგრამის ფარგლებში, რომლის დონორები არიან ევროკავშირი და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი.

მოამზადა
ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ

პროცესები, რომლებიც ლაკმუსის ფუნქციას შეასრულებს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

21-ე საუკუნის მწვავე გლობალური გამოწვევების ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, განვითარების რა გზას აირჩევს საქართველო, რა პოზიციას გამოკვეთს და რომელი კურსის მიმდევარი იქნება - ევროინტეგრაციის თუ ისევ ძველ ყაიდაზე განაგრძობს ცხოვრებას, კითხვაზე პასუხს კი ქვეყანაში არსებული ვითარება წარმოაჩენს, თუნდაც ის, რომ ახლა საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს განიხილავენ. გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო 2024 წლის არჩევნებისთვის მზადება

რამდენად დემოკრატიულად წარიმართება საარჩევნო პროცესი და რა შედეგით დასრულდება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვა, ცხადყოფს ჩვენს მენტალიტეტს და პოზიციას - რანი ვართ და რისკენ მივისწრაფით, როგორი მომავალი გვინდა ჩვენი ქვეყნისთვის. დიახ, ეს პროცესები ლაკმუსის ფუნქციას შეასრულებს. ამასთან დაკავშირებით საკუთარ თვალსაზრისს გვიზიარებს „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და საკრებულოს წევრი ***ვაჟა დარჩია.***

- პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვაზე რა აზრის ხართ?

- ეს საკითხი ახლა აქტუალურია, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, 14 ოქტომბრამდე მიიღებს. რაც შეეხება პროცესს, ერთადერთი ახსნა აქვს ამ ყველაფერს: მმართველი პარტია ამ ფორმით ცდილობს, საბოტაჟი გამოუცხადოს კანდიდატის სტატუსს.

- რას გულისხმობთ?

- წარმოუდგენელი ამბავია - „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის იმპიჩმენტის საკითხს მათ მიერვე მართული სასამართლო განიხილავს. მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის ევროინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს და რუსეთის მიმართ კრიტიკულ, სწორ განცხადებებს აკეთებს, ხელისუფლება, სამწუხაროდ, ამაზე არაადეკვატურად რეაგირებს. სალომე ზურაბიშვილს ედავებიან, რომ დაარღვია კონსტიტუცია და ამაში გულისხმობენ მის უცხოურ ვიზიტებს. არადა, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა საქართველოს პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონთან, შარლ მიშელთან, შტაინმაიერთან. ეს სამი ლიდერი საუბრობს, რომ აღნიშნული შეხვედრები იყო უმნიშვნელოვანესი საქართველოს კანდიდატის სტატუსის მოპოვების გზაზე... და ამ დროს იმპიჩმენტის დაწყება იმის გამო, რომ პრეზიდენტი რეალურად გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეხვდა, წარმოუდგენელია სხვანაირად შეაფასო, თუ არა საბოტაჟი ამ გზაზე.

- მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია...

- ისინი ბევრ რამეს ამბობენ. ჩვენს კონსტიტუციაში არის 78-ე მუხლი, რომელიც ყველა კონსტიტუციურ ორგანოს ავალდებულებს, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერი გააკეთოს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე. შესაბამისად, პრეზიდენტი ამ მუხლის ფარგლებში მოქმედებდა და თვლიდა, რომ მისი ჩართულობა ამ ფორმით საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი იქნებოდა, დასავლეთის ლიდერების გამოხმაურებებიც ამაზე მეტყველებს.

- თუ საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დასაშვებად ჩათვალა, დასავლეთს რა რეაგირება ექნება?

- საკონსტიტუციო სასამართლომ თუ დაადგინა, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია, მაშინ პროცესი პარლამენტში გადადის. იმედს ვიტოვებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს იმ არგუმენტებს, რაზეც პრეზიდენტის წარმომადგენლები საუბრობდნენ. იმედია, საკონსტიტუციო სასამართლო არ შეეწინააღმდეგება იმ გზას, რომელიც კონსტიტუციის 78-ე მუხლითაა განსაზღვრული.

- პარლამენტში თუ გადაინაცვლებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, რა შედეგს ელოდებით?

- მოგეხსენებათ, მმართველ გუნდს 88 დეპუტატი ჰყავს საკანონმდებლო ორგანოში, მათ შორის, სატელიტი პარტიების, ანუ „ევროპელი სოციალისტების“ ჩართულობით. ოპოზიციიდან თორმეტი დეპუტატი უნდა იყოს თანახმა იმპიჩმენტზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორი მესამედით მიიღება გადაწყვეტილება, ასმა დეპუტატმა უნდა დაუჭიროს მხარი იმპიჩმენტის საკითხს. ვფიქრობ, ძალიან გაუჭირდება მმართველ პარტიას იმპიჩმენტის სისრულეში მოყვანა. სავარაუდოდ, „ქართული ოცნება“ საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს დახარჯავს ამ მიმართებით. გვახსოვს, მოსამართლეებთან დაკავშირებული საკითხი, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ ბლოკით გასული წევრები - ჩხეიძეები და მაჭუტაძე იყვნენ ამ პროცესის მხარდამჭერები.

- „ნაცმოძრაობის“ წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხის განხილვას არ დაესწრებიან. ეს რისი მანიშნებელია?

- „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო წევრები, სავარაუდოდ, არ ენდობიან ერთმანეთს, არ არიან დარწმუნებული, რომ ვიღაცა არ დაუჭერს მხარს პრეზიდენტის იმპიჩმენტს. გარდა ამისა, შემოდის მესამე პრეზიდენტის შეწყალების საკითხი, თუმცა „ნაცმოძრაობა“ ვერ იღებს პასუხისმგებლობას ბლოკით შესულ ადამიანებზე და ამიტომაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის სავარაუდო განხილვაში არ მიიღებენ მონაწილეობას.

- „ლელო საქართველოსთვის“ დაესწრება პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხზე კენჭისყრას?

- ჩვენი პარტია აუცილებლად დაესწრება ამ პროცესს, თუმცა მხარს არ დაუჭერს იმპიჩმენტს. ჩვენ ღიად გვაქვს ნათქვამი, ასევე, ეს ღიად აქვთ გაცხადებული „გირჩს“, „სტრატეგია აღმაშენებელს“ და ალეკო ელისაშვილის პარტიას. შესაბამისად, არ გვაქვს არანაირი საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ეს ადამიანები მიიღებენ ამ პროცესში მონაწილეობას და პრეზიდენტს იმპიჩმენტს გამოუცხადებენ.

- თქვენ უარყოფითად შეაფასეთ მმართველი პარტიის ქმედებები იმპიჩმენტთან მიმართებით, თუმცა ისინი აცხადებენ, რომ დემოკრატიის სტანდარტებს იცავენ...

- ნათელი ილუსტრაცია იყო ჟოზეფ ბორელის ვიზიტი საქართველოში, რომელსაც ღიად დაუპირისპირდა ღარიბაშვილი პრესკონფერენციაზე, გარდა ამისა, ბორელმა ისაუბრა 12 რეკომენდაციის შესრულებაზე. მან თქვა, რომ სრულად შესრულებულად შეგვიძლია ჩავთვლოთ სამი პუნქტი, დანარჩენი შეიძლება იყოს ფორმალური, ან ნაწილობრივ შესრულებული. შარშან ველოდებოდით კანდიდატის სტატუსს და შარშანვე ვიცოდით, რომ ეს პუნქტები შესასრულებელია. ახლა უკვე მეორე შანსი გვაქვს, ცხრა შეუსრულებელი პუნქტია მითითებული და წარმოუდგენელია ამ კუთხით მმართველმა გუნდმა ისრები სხვისკენ მიმართოს.

- „ჩვენ არ ვენდობით საქართველოს პრეზიდენტ ზურაბიშვილს“ - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. რამდენად მოსალოდნელია ზურაბიშვილმა სააკაშვილი შეიწყალოს?

- სიმართლე გითხრათ, სააკაშვილის შეწყალებას პრეზიდენტის მხრიდან არ ველოდები. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მას პრეზიდენტის სტატუსთან მიმართებით საფრთხე შეექმნას, მოქმედ პრეზიდენტს მკაფიოდ აქვს ნათქვამი, რომ არ აპირებს ექსპრეზიდენტის შეწყალებას. გარდა ამისა, მმართველი პარტია არის ძალა, რომელიც სააკაშვილის შეწყალების შემთხვევაში მის მიმართ კვლავ აღძრავს საქმეებს, ამიტომ შეწყალების ინსტრუმენტი სააკაშვილთან მიმართებით არა მგონია, ეფექტური იყოს და თავისუფლება მოუტანოს მას.

- ამას წინათ, „ედისონ რიჩერსმა“ ტვ „ფორმულის“ დაკვეთით მორიგი კვლევა ჩაატარა, რომლის თანახმად მმართველ პარტიას მოსახლეობის 37 პროცენტი უჭერს მხარს, „ნაცმოძრაობას“ - 22, გახარიას პარტიას - 10...

- კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ათასხუთასიან პოპულაციაში ჩატარებული კვლევით არ შეიძლება მივიღოთ რეალური სურათი, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ქვეყანაში არის მოსმენები, მიყურადება. 60 პროცენტი საჯარო მოხელეა და ისინი ერიდებიან ღიად ოპოზიციის მხარდაჭერას, რაც აისახება კვლევებში, ამიტომ ეს ციფრები არ შეიძლება იყოს ადეკვატური, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა 32 პროცენტი საერთოდ უარს ამბობს გამოკითხვებში მონაწილეობაზე.

- „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ ღარიბაშვილის და კობახიძის გუნდებად დაიყოფა“ - მიიჩნევს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე. თქვენი აზრი როგორია?

- ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. მმართველი პარტია შეეცდება მაქსიმალურ მობილიზებას, რომ არჩევნებზე შედეგი დადოს. მოგეხსენებათ, არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება და მმართველ გუნდს მაქსიმალური შედეგი სჭირდება არჩევნებში ხელისუფლებაში დასაარჩენად. „ქართულ ოცნებას“ დაშლის ფუფუნება არ აქვს.

- „ნაცმოძრაობას“ ხელს არ აძლევს გარეთ გამოსული სააკაშვილი, პირიქით, როგორც წამებული, ურჩევნია, ციხეში იყოს“, - განაცხადა ანალიტიკოსმა მამუკა გამყრელიძემ.

- ეს ძალიან ცუდი და არასწორი მსჯელობაა. არ შეიძლება, ლიდერის ციხეში ყოფნა რომელიმე პარტიას უღირდეს, თუმცა „ნაცმოძრაობის“ ნაბიჯები არ არის მიმართული იქითკენ, რომ მაქსიმალურად ეცადოს პრეზიდენტის გათავისუფლებას. სხვათა შორის, „ნაცმოძრაობის“ მოქმედი მენეჯმენტი მმართველობაში სწორედ პრეზიდენტის გათავისუფლების ლოზუნგით მოვიდა.

- ნიკა მელიამ, პრაქტიკულად, დააანონსა პარტიის დატოვება და ახალი პლატფორმის შექმნა...

- ნიკა მელია საკუთარი პოლიტიკური წარსულით, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია „ნაცმოძრაობასთან“. გამოყოფის შემთხვევაში, დიდი შანსია იმისა, რომ მან წაართვას ამომრჩეველი ამ პარტიას. აქ მნიშვნელოვანი იქნება სააკაშვილის როლი, როგორ გაიგებს ის მელიას წასვლას პარტიიდან... მიმაჩნია, რომ ბატონ მელიას აქვს გარკვეული, მათ შორის, ელექტორალური, ადამიანური რესურსი, რომელსაც შეუძლია შედეგი დადოს.

- დღესდღეობით ოპოზიცია რა სტადიაშია და მთავარ ოპოზიციურ ძალად ვის მიიჩნევთ?

- ჩვენ რეალისტები ვართ, მოცემულობა ასეთია - მთავარი ოპოზიციური ძალა არის „ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა თავისი ნაბიჯებით ეს პარტია ამ სტატუსის ამაღლებაზე არ ფიქრობს. ამის ერთ-ერთი ილუსტრაცია იყო ამასწინანდელი ურთიერთდაპირისპირება, როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური. გარდა ამისა, „გამარჯვების პლატფორმის“ („ნაცმოძრაობა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“) მიზანსაც დიდად ვერ ვიაზრებ. უფრო მგონია, რომ „სტრატეგია აღმაშენებელმა“ გადაიარჩინა თავი, ვიდრე „ნაცმოძრაობამ“ მიიღო სხვა სარგებელი ამ პროცესიდან იმიტომ, რომ „სტრატეგია აღმაშენებელს“ ბარიერის გადალახვა ძალიან გაუჭირდებოდა. ამით მან სიაში რამდენიმე ადგილი დაჯავშნა. ამ მხრივ, პატარა პარტიების ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ხმა მიიღონ არჩევნებში, ვგულისხმობ პროდასავლურ პარტიებს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ 2016 წლის არჩევნების მსგავსად, ეს ხმები არ დაიკარგოს. მაშინ ამომრჩევლის 20 პროცენტის ხმა დაიკარგა იმის გამო, რომ ბარიერი პარტიებმა ვერ გადალახეს. ასე რომ არ მოხდეს, მაქსიმალურად უნდა შეძლონ პატარა პარტიებმა ცენტრების შეთავაზება და გაერთიანება.

- თქვენი პარტია ცალკე აპირებს არჩევნებში გასვლას თუ შეეცდება ახალი პლატფორმის შექმნას?

- კონსულტაციები გვაქვს ამ მიმართულებით. ჩვენ ვთქვით, რომ ალტერნატიული ცენტრის შექმნა გვინდა და ვეპატიჟებით ამ ბრძოლაში იმ პარტიებს, რომლებიც ჩვენთან სათანამშრომლოდ ხედავენ გზებს. „გირჩს“ და „დროას“ ვთავაზობდით ჩვენთან მოსვლას არა იმიტომ, რომ ზემოდან გვეყურებინა მათთვის, აქ არის ტექნიკური საკითხი - არჩევნებში ჩვენი ნომერია ცხრა, კვალიფიციური სუბიექტი ვართ, რაც ნიშნავს ოლქში, ცესკოში წარმომადგენლებს, კომისიის წევრებს სხვადასხვა უბანზე, ეს ქმნის უფასო პოლიტიკურ რეკლამას და იმიტომ გვინდა შემოგვიერთდნენ ეს ადამიანები, რომ ასეთი საქმიანობისთვის დამატებითი რესურსი არსებობდეს. როგორც ცნობილია, „გირჩი“ და „დროა“ არ არიან კვალიფიციური სუბიექტები, ეს რესურსი ჩვენ გაგვაჩნია, მათ შორის, კომისიის წევრები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გაერთიანებაზე, ამ ეტაპზე, ვერაფერს გეტყვით, თუმცა ის კი შეიძლება გითხარათ, რომ „ლელო საქართველოსთვის“ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს როგორც ნომერი 9, ჩვენ ამ ნომრით შევალთ 2024 წლის არჩევნებში.

- როგორ გგონიათ, მმართველი პარტია მეოთხედაც შეძლებს არჩევნების მოგებას და ხელისუფლებაში დარჩენას?

- „ქართულმა ოცნებამ“ უნდა აიღოს 50 პროცენტს პლუს ერთი ხმა, 76 მანდატი რომ მიიღოს. ბოლო დროს მმართველი პარტიის რეიტინგი, ყველა კვლევით, იკლებს. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, მივიღებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს. ცხადია, მიუღებლობის შემთხვევაში მმართველი გუნდის რეიტინგი კიდევ უფრო დაიწევს და ეს ბუნებრივი ამბავია... თუ ოპოზიცია დაკარგავს ხმებს ბარიერის გამო, მაშინ მმართველ პარტიას შეეძლება 40 პროცენტითაც დააკომპლექტოს მთავრობა. ჩვენ ამის შესაძლებლობა არ უნდა მივცეთ მათ და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ პროდასავლური ხმები არ დარჩეს ჰაერში.

> ***„ქართულმა ოცნებამ“ უნდა აიღოს 50 პროცენტს პლუს ერთი ხმა, 76 მანდატი რომ მიიღოს. ბოლო დროს მმართველი პარტიის რეიტინგი, ყველა კვლევით, იკლებს. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, მივიღებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს. ცხადია, მიუღებლობის შემთხვევაში მმართველი გუნდის რეიტინგი კიდევ უფრო დაიწევს და ეს ბუნებრივი ამბავია... თუ ოპოზიცია დაკარგავს ხმებს ბარიერის გამო, მაშინ მმართველ პარტიას შეეძლება 40 პროცენტითაც დააკომპლექტოს მთავრობა***

- ამ მხრივ, არჩევნებში ამომრჩევლის აქტიურობა რამდენად მნიშვნელოვანია?

- რა თქმა უნდა, ამომრჩევლის აქტიურობა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვნახეთ, რომ 2012 წლის არჩევნებში მოსახლეობის აქტიურობამ გარდამტეხი როლი შეასრულა „ნაცმოძრაობის“ საწინააღმდეგოდ.

- წლის მიწურულს ქვეყანა ევროკომისიისგან ელოდება ვერდიქტს კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. რა მოლოდინი გაქვთ?

- ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. მმართველმა პარტიამ თუ მიაღწია იმას, რომ სალომე ზურაბიშვილი გადააყენა (რომელიც ყველაზე დიდი ლეგიტიმაციის მქონე ადამიანია საქართველოში), ეს პირდაპირი ბოიკოტირება იქნება ჩვენი დასავლური კურსისა, ვგულისხმობ კანდიდატის სტატუსის ვერმიღებას.

- სხვათა შორის, მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი საბოტაჟს უწყობს ევროპულ კურსს...

- პირიქით, პრეზიდენტი ამ ბოლო დროს სწორ მესიჯებს ახმოვანებს საგარეო კუთხით. თუ პრეზიდენტის იმპიჩმენტი სისრულეში მოვა, ამას ნეგატიური რეაქცია მოჰყვება დასავლეთის მხრიდან. იმედია, ჩვენი დასავლელი პარტნიორები გაიაზრებენ მოცემულობას, მათ შორის, გეოპოლიტიკურ ვითარებას მსოფლიოში და საქართველოს არ დატოვებენ ამ პროცესის მიღმა.

- არის თუ არა მომავალი არჩევნები და მისი შედეგი ისტორიული მნიშვნელობის?

- 2024 წლის არჩევნები თავისი მნიშვნელობით შეიძლება გავუტოლოთ 2012 წლის არჩევნებს, ვხედავთ, რომ რუსეთმა აფხაზეთში საზღვაო ბაზის განთავსება განიზრახა. ეს, ფაქტობრივად, ქვეყნის ომში ჩათრევაა რუსეთის მხრიდან იმიტომ, რომ შესაძლებელია, უკრაინამ ამ ბაზაზე იერიში მიიტანოს და ეს ნიშნავს, რომ საქართველოს აღიარებულ ტერიტორიაზე უკვე საომარი პროცესები განხორციელდება, ამის ინიციატორი კი რუსეთი იქნება. დიახ, მომავალი არჩევნები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, აქ არის ორი არჩევანი - გვსურს რუსეთი თუ დასავლეთი, ანუ სად ხედავს მოსახლეობა საკუთარ თავს, თავისი შვილების მომავალს. თუ მოსახლეობას ისევ „ქართული ოცნება“ ურჩევნია, არა მგონია, ეს არჩევანი ქართული სახელმწიფოებრიობისთვის სასიკეთო იყოს.

შვილები მოძალადეებად რომ არ გავზარდოთ...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბოლო პერიოდში მოზარდებს შორის ძალადობის გახშირებულმა ფაქტებმა ცხადყო, რომ აუცილებელია, განათლების სისტემამ, სკოლამ, მეტად იფიქროს მის გამომწვევ მიზეზებზე და ეძებოს პრობლემის აღმოფხვრის ეფექტური გზები

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა მოზარდზე ძალადობის ამსახველი ვიდეო, რასაც, ბუნებრივია, როგორც საზოგადოებისგან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოჰყვა რეაქცია და შესაბამისი ზომებიც გატარდა. შს სამინისტრომ მედიის წარმომადგენლებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ მსგავსი ვიდეოების ატვირთვისგან. სოციალურ სივრცეში გამოითქვა მოსაზრება, რომ ასეთი ფაქტების გასაჯაროებამ შესაძლოა, გამოიწვიოს ძალადობის წახალისება.

გთავაზობთ ბავშვთა ფსიქოლოგ ***ხატია გუჯაბიძის*** *პოზიციას, თუ როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი ან ნებისმიერი ადამიანი, ვინც ძალადობას შეესწრება. ასევე საინტერესოა მისი აზრი იმასთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელში მოზარდზე ძალადობის ჩანაწერის გავრცელებამ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს თავად მოზარდს.*

> ***„სკოლაში უნდა სუფევდეს ისეთი ატმოსფერო, რომ მჩაგვრელმა იცოდეს, მისი ქცევა ამ გარემოში ამ საზოგადოებისთვის მიუღებელია, ასევე მსხვერპლმაც უნდა იცოდეს, რომ მას მოუსმენენ და მხარს დაუჭერენ. მულტიდისციპლინური გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედის პედაგოგი, ფსიქოლოგი, მანდატური, დირექტორი და ყველა ის, ვინც ბავშვის განათლებაზე ზრუნავს, უნდა იდგეს მორალის, სამართლიანობის სადარაჯოზე და ბავშვის ფსიქოემოციური განვითარების გარანტი იყოს***

- მოზარდობის პერიოდი თავისებურებებით გამოირჩევა, რომელსაც სირთულეები და, ხშირ შემთხვევაში, ფსიქიკური პრობლემები ახლავს. აღნიშნულის გადალახვას მშობლის მხარდაჭერა და უპირობო სიყვარული სჭირდება. გარდამავალ ასაკში ყველაზე მნიშვნელოვანია შვილთან მეგობრობა. ეს ის დროა, როცა მშობელი უნდა დაბრუნდეს წარსულში და თავისი შეუსრულებელი გეგმებისა და ინტერესების კომპენსაცია კი არ მოსთხოვოს შვილს, არამედ გაიხსენოს თავისი შფოთვა, რეალური მოთხოვნილებები, სურვილები, გამოუთქმელი აზრები და ემოციები. იყოს შვილის ტოლი და სწორი, კი არ მოუყვეს - აჩვენოს, კი არ აკრიტიკოს - დაეხმაროს, იყოს მაგალითი და დაივიწყოს დირექტიული მიდგომები. ზოგადად, თეორია მარტივია, პრაქტიკაში განხორციელება კი ძალიან რთული. მოზარდის სურვილი, ახირება, დარდი და შფოთვა მოსმენილი, გააზრებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს როგორც მშობლისგან, ასევე აღმზრდელისგან. რთულია დღევანდელ სოციუმში გაატარო ბავშვის თამამი გადაწყვეტილებები, რომლებსაც ხშირად საკუთარი თავის ძიების პროცესში იღებს და არ გახდე სტერეოტიპების მსხვერპლი, მაგრამ ჩვენ მისი განვითარების ამ გზაზე უნდა შევძლოთ, ვიყოთ ჯანსაღი და ბედნიერი მოზარდობის სადარაჯოზე. რაც შეეხება თქვენს კითხვას, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ძალადობის ფაქტს შევესწრებით, ამგვარი, თითქოსდა ძალადობის პრევენციის მიზნით გაშუქებული ამბები შეიძლება, დამატებითი ტრავმა იყოს მოზარდისთვის. ის, რაც ვიწრო სოციუმში მოხდა (ჩაგვრა, დამცირება, ძალადობა) ახლა ყველასთვის ხელმისაწვდომი მასალაა განსჯისა და კრიტიკისათვის. ჟურნალისტი და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ძალადობის ფაქტს შეესწრება და ვიდეოს ან ფოტოს ატვირთავს სოციალურ ქსელში, უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას და კონფიდენციალურობის ფარგლებს არ სცდებოდეს.

- რა ზომებს უნდა მიმართონ მშობლებმა, რა ტიპის კომუნიკაცია უნდა ჰქონდეთ შვილებთან, რათა ბავშვმა არ დამალოს მასზე ძალადობის, ბულინგის შემთხვევები?

- ჯანმრთელი ოჯახური გარემო, მეგობრობა და შვილის ყოველდღიურობაში ჩართულობა არის საფუძველი ჯანსაღი უკუკავშირისა. ცხადია, არ ვგულისხმობ ჰიპერმზრუნველობასა და მისი პირადი სივრცის დარღვევას, რაც მშობლის ხშირი შეცდომაა. ტყუილი და სხვადასხვა ფაქტის დამალვა, გამოუთქმელობა ხშირად მშობლის ბრალია. შვილს არ უნდა ჰქონდეს მშობლის რეაქციის შიში, დასჯის, აკრძალვის მოლოდინი. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ყველა სიტყვას, რაც მას დაუფრთხობს და აიძულებს, დამალოს სიმართლე. ჩვენი მხრიდან თუნდაც შვილის თანატოლის კრიტიკა და შეფასება მნიშვნელოვანი გზავნილია ჩვენი შვილებისათვის.

- რა პრევენციული ზომები შეიძლება მიიღოს სკოლამ, რომ მოზარდები არ ძალადობდნენ ერთმანეთზე? თითქმის ყველა საყმზრდელო დაწესებულებას ჰყავს ფსიქოლოგი, მანდატური, თუმცა მაინც ხშირია ბულინგის შემთხვევები სასკოლო სივრცეში. მოზარდებს უჭირთ სწორი კომუნიკაცია პედაგოგებთანაც...

- სკოლის როლი ძალიან დიდია მოზარდის განვითარების პროცესში. ძალადობის ყველაზე ხშირი ფაქტები, სტატისტიკურად, სკოლებშია. ბულინგი ახალი ტერმინია, თუმცა ყველა ჩვენთაგანი არის მომსწრე სკოლაში მსგავსი ფაქტებისა. ახლა მშობელმა და ბავშვმა უკეთ იციან თავიანთი უფლებები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სკოლაში უნდა სუფევდეს ისეთი ატმოსფერო, რომ მჩაგვრელმა იცოდეს, მისი ქცევა ამ გარემოში ამ საზოგადოებისთვის მიუღებელია, ასევე მსხვერპლმაც უნდა იცოდეს, რომ მას მოუსმენენ და მხარს დაუჭერენ. მულტიდისციპლინური გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედის პედაგოგი, ფსიქოლოგი, მანდატური, დირექტორი და ყველა ის, ვინც ბავშვის განათლებაზე ზრუნავს, უნდა იდგეს მორალის, სამართლიანობის სადარაჯოზე და ბავშვის ფსიქოემოციური განვითარების გარანტი იყოს.

- რა შემთხვევაში უჩნდებათ მოზარდებს სხვაზე ძალადობის სურვილი? აქვს თუ არა ამას ოჯახში ან სხვა გარემოში წინაპირობები?

- ძალადობა შობს ძალადობას. სად და რა პირობებში იზრდება ბავშვი, იყო თუ არა ის ფსიქიკური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, დამცირება, პიროვნების დაკნინება, შეფასების სხვადასხვა ფორმა, რომელიც მშობელს ჰგონია, რომ უმნიშვნელოა, ქვეცნობიერში ტოვებს წარუშლელ კვალს, აღვივებს შურისძიების სურვილს არა მოძალადეზე, არამედ მასზე სუსტ რგოლზე და ამით გამარჯვებისა და უპირატესობის არაჯანსაღ შეგრძნებებს აჩვევს.

- შეიძლება თუ არა მოძალადე ბავშვი რადიკალურად შეიცვალოს ზრდასრულობაში და ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბდეს?

- ადამიანის განვითარება ძალიან ინდივიდუალურია. წარსულის გამოცდილება ავითარებს, აკეთილშობილებს ან აბოროტებს ადამიანს. გავიმეორებ: თუ დროულად იქნება აღმოჩენილი მოზარდის არაჯანსაღი მიზნები, სურვილები, მისწრაფებები, არასასურველი გარემო და მეგობრები, ასევე, თუ დროულად ჩავრთავთ სპეციალისტებს, კეთილსაიმედო შედეგის ალბათობა დიდია.

რა არის პაპილომავირუსი და რატომ უნდა ავცრათ მოზარდები?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

პაპილომავირუსი წარმოადგენს რეპროდუქციული სისტემის ყველაზე გავრცელებულ ინფექციას და მრავალი დაავადების გამომწვევ მიზეზს როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში. იგი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციაა და კანისა და ლორწოვანი გზების ინფიცირებას იწვევს. ადამიანთა 80% თავისი ცხოვრების რომელიმე ეტაპზე აუცილებლად ინფიცირდება პაპილომავირუსის ერთი ან მეტი შტამით

პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა მსოფლიოში 2006 წლიდან გამოიყენება და, 2022 წლის მიწურულის მონაცემებით, 100 მილიონზე მეტი ადამიანია აცრილი ვაქცინის 270 მილიონზე მეტი დოზით. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანახმად, ვაქცინა მაღალეფექტურია - აცრილთა თითქმის 100%-ს უვითარდება იმუნიტეტი, რის შედეგადაც მცირდება ინფექციისა და, შესაბამისად, მის მიერ გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევები.

ვირუსი საკმაოდ მარტივად, ყველა ტიპის სქესობრივი კონტაქტის, მათ შორის, კანიდან კანზე, დაინფიცირებულ არესთან შეხებით ვრცელდება, ანუ ადამიანი პაპილომავირუსით შეიძლება დაინფიცირდეს ნებისმიერი ინტიმური კავშირის დროს.

იმისათვის, რომ ვაქცინამ 100-პროცენტიანი დაცვა გამოავლინოს, საჭიროა ის სქესობრივი კავშირის დაწყებამდე გაკეთდეს. სწორედ ამიტომ, ვაქცინაციის საუკეთესო ასაკად მიჩნეულია 10-14 წელი როგორც გოგონებისთვის, ისე ბიჭებისთვის. ამ ასაკობრივ კატეგორიაში ვაქცინაცია ორდოზიანი სქემით, ექვსთვიანი ინტერვალით ტარდება.

საქართველოში 2019 წლიდან პაპილომავირუსის ვაქცინაცია შეტანილია ვაქცინაციის ეროვნულ პროგრამაში 10-12 წლის გოგონებისთვის. 2022 წელს, მთავრობის გადაწყვეტილებით, ასაკი 18 წლამდე გაიზარდა, 2023 წლის ცვლილებით კი ვაქცინაციის ზედა ზღვარმა 26 წლამდე აიწია.

15-26 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ვაქცინაცია 3-დოზიანი სქემით წარიმართება - 0-2-6 თვე. პირველ და მეორე დოზას შორის მინიმალური ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ ერთი თვისა, ხოლო მეორე და მესამე დოზას შორის მინიმალური ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ სამი თვე. საქართველოს ეროვნული პროგრამის თანახმად, ვაქცინაცია 10-დან 26 წლამდე გოგონებისა და ქალებისთვის სრულიად უფასოა და ის ტარდება ოთხკომპონენტიანი ვაქცინით.

წელს საქართველოში პაპილომავირუსზე ბიჭების ვაქცინაციაც დაიწყო. აცრის დაწესებულებებში 10-დან 12 წლამდე ბიჭებს ვაქცინის გაკეთება უფასოდ შეუძლიათ. არსებული ინფორმაციით, მიმართვიანობა დაბალია, თუმცა არიან ერთეული მშობლები, რომლებმაც თავიანთი ბიჭები ასაცრელად მიიყვანეს.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამის მენეჯერ ქეთი ჭელიძის თქმით, აუცილებელია, სახელმწიფომ უფრო აქტიური საინფორმაციო კამპანიები ჩაატაროს, რათა აცრის მაჩვენებელი გაიზარდოს. მისი განმარტებით, ესაა კიბოს პროფილაქტიკისა და პრევენციის ერთადერთი საშუალება და ვაქცინა, რომელიც საკმაოდ ძვირად ღირებულია, ქვეყანაში, სახელმწიფოს დაფინანსებით, მოქალაქეებისთვის სრულიად უფასოა.

- აცრები უფასოა, მაგრამ რადგან მოსახლეობა არაა ინფორმირებული, მოცვაც არასაკმარისია. არის ქვეყნები, სადაც საშვილოსნოს ყელის კიბოთი აღარავინ იღუპება, რადგან პროფილაქტიკური აცრები და გასინჯვები იმ სიმაღლეზე ავიდა, არ მიდის საქმე იქამდე, რომ ადამიანი ამ მიზეზით დაიღუპოს, საქართველოში კი ამ დაავადებით ქალები, სამწუხაროდ, ისევ იღუპებიან, - აღნიშნა ქეთი ჭელიძემ.

მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია, ადამიანი დაინფიცირებამდე აიცრას. სპეციალისტის რეკომენდაციაა, მშობლებმა შვილები იმ ასაკში აცრან, როცა მათ სქესობრივი ცხოვრება ჯერ არ აქვთ დაწყებული. თუმცა აცრის გაკეთებას აზრი ამ პერიოდის შემდეგაც აქვს, რადგან შესაძლოა, ადამიანი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე დაინფიცირდეს.

> ***„არის ქვეყნები, სადაც საშვილოსნოს ყელის კიბოთი აღარავინ იღუპება, რადგან პროფილაქტიკური აცრები და გასინჯვები იმ სიმაღლეზე ავიდა, არ მიდის საქმე იქამდე, რომ ადამიანი ამ მიზეზით დაიღუპოს, საქართველოში კი ამ დაავადებით ქალები, სამწუხაროდ, ისევ იღუპებიან***

- რა შეუძლია მშობელს გააკეთოს შვილისთვის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობისთვის ზრუნვაზე მეტი? ჯანმრთელობაზე ძვირფასს ბავშვებს ვერაფერს ვაჩუქებთ, ამიტომ ეს ერთმანეთს უნდა გავაგებინოთ და ავცრათ ჩვენი შვილები, - აცხადებს ქეთი ჭელიძე.

რაც შეეხება ბიჭების აცრას, ქეთი ჭელიძის ინფორმაციით, გარდა იმისა, რომ ბიჭმა ეს ვირუსი შესაძლოა პარტნიორს გადასდოს, მათთვისაც პაპილომავირუსი ძალიან სარისკოა, რადგან იწვევს სასქესო ორგანოს, ხორხის, სწორი ნაწლავის კიბოსა და სხვა დაზიანებებს.

კითხვაზე, რამდენად უსაფრთხოა პაპილომავირუსის ვაქცინა და რა უკუჩვენებები ახასიათებს მას, ქეთი ჭელიძემ გვიპასუხა, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაქცინის უსაფრთხოების გლობალური საკონსულტაციო კომიტეტი რეგულარულად განიხილავს ფაქტობრივ მონაცემებს ვაქცინის უსაფრთხოების შესახებ. სწორედ ამ კომიტეტმა შეისწავლა ამერიკაში, ავსტრალიასა და იაპონიაში ჩატარებული ვაქცინაციის ეპიდზედამხედველობის მონაცემები. ზემოაღნიშნული ყველა წყარო ადასტურებს ვაქცინაციის დადებით შედეგს და უსაფრთხოებას, თუმცა ადგილობრივი რეაქციები - ინიექციის ადგილის ტკივილი ხშირია.

- ვაქცინაციის შემდგომი 15-დღიანი მონიტორინგის შედეგად ცხელება ვაქცინირებულთა 1%-ს დაუფიქსირდა, სხვა მცირე სისტემური გვერდითი მოვლენები - 0,5%-ს. გასათვალისწინებელია, რომ ვაქცინაციის დროს პაციენტი ჯანმრთელი უნდა იყოს და არ ჰქონდეს ალერგია ვაქცინის შემცველი კომპონენტების მიმართ. ორსულთათვის ადამიანის პაპილომავირუსზე ვაქცინაცია არ არის რეკომენდებული, - გვითხრა ქეთი ჭელიძემ.

„ჩემმა მოსწავლეებმა იციან, რომ დღედაღამ მათზე ვფიქრობ და ვცდილობ, მათი ცხოვრება საინტერესო გავხადო“

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მასწავლებლის პროფესია უდიდესი პასუხისმგებლობაა - ბავშვის შესაძლებლობების აღმოჩენა, მისი, როგორც პიროვნების, აღიარება და მუდმივი თანადგომა, ზრუნვა პირადი განვითარებისა და სრულყოფისთვის. ყოველივე ეს თავდადებულ შრომასა და დიდ ენერგიას მოითხოვს, მაგრამ, ამავდროულად, სასიამოვნო პროცესიცაა, რადგან უანგაროდ გაცემული სიყვარული მასწავლებელს უკან ასმაგად უბრუნდება

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტია ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ***ირმა ვადაჭკორია.*** *მას მოსწავლეებთან საუკეთესო ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად საკუთარი მიდგომები აქვს და როგორც ამბობს, ეს ყოველივე ნდობაზეა დაფუძნებული.*

- რა იყო მთავარი მოტივაცია თქვენთვის ამ რთული და მეტად საპასუხისმგებლო პროფესიის არჩევისას?

- როგორც სენტ ეგზიუპერი ამბობს, ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, ჩემი მასწავლებლობანაც შორეული ბავშვობიდან იწყება, მეც მქონდა „ნუცას სკოლა“. ამას გარემომაც შეუწყო ხელი - ბებია დაწყებითი სკოლის დირექტორი და პედაგოგი იყო, სკოლაში დავყვებოდი და სკოლის შიდა სამზარეულოსაც ვეცნობოდი. დღემდე ნოსტალგიით ვიხსენებ მის პატარა ხის მაგიდას წითელი „დედაენით“.

- მოსწავლე მშობლიურ ენაზე ფიქრობს, აზროვნებს, მეტყველებს და ასე ვითარდება. აქედან გამომდინარე, ბავშვის სულიერ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში უდიდესი მისია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ეკისრება. როცა ირჩევდით ამ საგანს, რამდენად გქონდათ გაცნობიერებული მისი სწავლების სირთულე?

- როცა პროფესიას ირჩევ, იმ ასაკში არა ხარ, ამ საქმიანობის სირთულე სიღრმისეულად გაიაზრო. 17-18 წლისას ლამაზ ფერებში გესახება მომავალი და გაქვს განცდა, რომ დაუძლეველი ბარიერები არ არსებობს. პროფესიის არჩევა მხატვრული ლიტერატურის, განსაკუთრებით, პოეზიის სიყვარულმა გადამაწყვეტინა, ამას „გენეტიკური განწყობაც“ დაერთო, დედის მხრიდან ბებია და ბებიის ძმა პედაგოგები, კერძოდ, ფილოლოგები იყვნენ.

- როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს, როგორც მასწავლებელს. ამბობენ, მასწავლებელი ან ზომიერად მკაცრია, ან მეგობრული. თქვენ როგორი ხართ?

- უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია და ბავშვები, ჩემმა მოსწავლეებმა იციან, რომ დღედაღამ მათზე ვფიქრობ და ვცდილობ, მათი ცხოვრება საინტერესო გავხადო. მე არ ვარ მასწავლებელი, რომელიც ყვირის, მაგიდაზე აბრახუნებს. ავტოკრატი მასწავლებელი ჩემთვის მიუღებელია, ვერც ფრაზის „მასწავლებელი ყოველთვის მართალია“ მნიშვნელობას ვიგებ. არსებობს ოქროს შუალედი სამართლიანობასა და ლოიალობას შორის, ვცდილობ, ეს ბალანსი შევინარჩუნო.

- რა განსაკუთრებულ სტრატეგიებსა და მიდგომებს იყენებთ მოსწავლეებთან წარმატების მისაღწევად?

- სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად ვიყენებ ინტერაქტიულ მეთოდებს, ვცდილობ, გაკვეთილები სახალისო და საინტერესო გავხადო მოსწავლეთათვის. მრავალფეროვნების მიზნით, კვირის ყოველი დღე სხვადასხვა აქტივობით მაქვს დატვირთული. ჩემი მოსწავლეები სასკოლო წიგნებს კვირაში მხოლოდ ორ დღეს ატარებენ, დანარჩენი დღეები სხვა რესურსებით გვაქვს დატვირთული, აქვთ უბის წიგნაკები, რომლებშიც „საუკუნო საგზალს“ აგროვებენ, მოსწავლეებთან ერთად ვქმნი რესურსებს და მათი დახმარებით ვტესტავ, კლუბის წევრებთან ერთად ვიღებთ ვიდეორგოლებს მოზარდებისთვის აქტუალურ პრობლემებზე, ვმართავთ დებატებს, ლიტერატურულ სასამართლოებს.

- მასწავლებელი თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს, უნდა იცოდეს, რომელ მოსწავლეს რისი ნიჭი აქვს, ან რაში მოიკოჭლებს. როგორ ეხმარებით ბავშვებს, განსაზღვრონ პრიორიტეტები და ისწავლონ თვითშეფასება?

- ამისთვის საუკეთესო საშუალება მოსწავლის არაფორმალურ განათლებაში ჩართვაა. ამ მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სასკოლო კლუბების დაფინანსების პროექტის ფარგლებში, 2017 წელს მოვიპოვე დაფინანსება და ჩამოვაყალიბე კლუბი „შემოქმედთა სივრცე“, რომლის მიზანი ექსტრაკულიკულურ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვა, შემოქმედებითი უნარების გამოვლენა და რეალიზება, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, თანამშრომლობის ჩვევების, კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარება, მოსწავლეთა ინტეგრაცია, კონტაქტების გაფართოება, პარტნიორული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სსმ და შშმ პირებთან აქტიური თანამშრომლობა, მათი პროექტებში ჩართვა, სოციალური უნარების გამომუშავება და განვითარებაა. კლუბმა პარტნიორ კლუბებთან ერთად განახორციელა არაერთი წარმატებული პროექტი. ასევე, ვარ პროექტის „მოხალისე პედაგოგი“ აქტიური მონაწილე, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ინიციატივით შეიქმნა. ვზრუნავ პირობითი მსჯავრდებულების, განრიდებული პირების, რეფერირების ცენტრის ბენეფიციარების, ყოფილი პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების ხარისხიან განათლებაზე. ვთანამშრომლობ საქველმოქმედო ფონდებთან, საგანმანათლებლო საქმიანობას ვეწევი სოციალურად დაუცველ, კანონთან კონფლიქტში მყოფ, ძალადობის მსხვერპლ მოზარდებთან. სპეციალურად ფონდის ბენეფიციართათვის გავიარე ტრენინგები, გავხდი სერტიფიცირებული ტრენერი, შევქმენი ტრენინგმოდულები. სწორედ ეს ტრენინგმოდულები მეხმარება, ვასწავლო მოსწავლეებს პრიორიტეტების განსაზღვრა, ავუმაღლო მოტივაცია და გამოვუმუშაო თვითშეფასების უნარები.

- დღევანდელი მძიმე ყოფითი პირობებიდან გამომდინარე, მშობელი აქტიურად ვერ ერთვება შვილის სასწავლო პროცესში. რას მიიჩნევთ მშობელთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებად?

- ნდობას, ნდობის მოპოვებას. ურთიერთობა ნდობაზე უნდა იყოს დამყარებული. მშობლის ინტენსიური, მრავალმხრივი მონაწილეობა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებში ძალიან მნიშვნელოვანია. გეთანხმებით, მძიმე ყოფითმა პირობებმა შექმნა ეს პრობლემა, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიები, სოციალური ქსელები, რომლის დახმარებით მშობელს ვაძლევ საშუალებას, თვალი ადევნოს შვილის მიღწევებს და შეძლოს საჭიროებისამებრ დახმარება. ვცდილობ, მეტი ინფორმაცია მივაწოდო და მივიღო მოზარდზე. თანადგომა და თანაგანცდა ყოველთვის იწვევს ნდობას, სადაც ნდობაა, იქ ყველაფერია შესაძლებელი.

- რა შეიძლება ილონოს მშობელმა შვილისთვის ცოდნის მიღების წყურვილის გასაღვივებლად?

- ვიქნები ბანალური და ვიტყვი, რომ ამისთვის მშობლის მაგალითი საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ არც ეს არის საკმარისი. ბავშვის პიროვნებად ფორმირების პროცესში ოჯახი, უმთავრესად, მშობლები მონაწილეობენ, მაგრამ არანაკლები როლი სკოლას და პედაგოგებს აკისრიათ. ერთობლივი ძალისხმევა, აქტივობების იმგვარად დაგეგმვა და სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა, სადაც მოსწავლე-მშობელი-მასწავლებელი ერთად არიან, ღირებული შედეგის მომცემია და სასკოლო საზოგადოების ჭეშმარიტ არსს და მისიას პასუხობს. ამიტომ ვურჩევ ყველა მშობელს, რომ აქტიურად ჩაერთონ შვილის სასკოლო ცხოვრებაში, ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლების პროცესში.

- პედაგოგიური გამოცდილება, რომელიც წლებმა შეგძინათ, რამდენად გეხმარებათ შვილებთან ურთიერთობაში?

- ვფიქრობ, ჩემს შემთხვევაში პირიქითაა, შვილებთან ურთიერთობამ მასწავლა ძალიან ბევრი რამ, მათთან მიღებული გამოცდილება სრულმყოფს, როგორც პედაგოგს.

- პედაგოგიურ საქმიანობაში რას მიიჩნევთ თქვენს მთავარ გამოწვევად და, ასევე, ყველაზე დიდ მიღწევად?

- ჩემი აზრით, ყველა პედაგოგის მთავარი გამოწვევა მაღალი სოციალური უნარების მქონე მოქალაქის აღზრდაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე არ იფიქრებს და მისი მიზანი ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნა, სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა იქნება. ამაში ძალიან მეხმარება ლიტერატურა. მთავარ მიღწევად კი ის მიმაჩნია, რომ ჩემს მოსწავლეებს, ლიტერატურის დახმარებით, სწორი ხედვა და აზროვნება უყალიბდებათ.

- როგორც ცნობილია, დააფუძნეთ ფონდი „ინტერაქტიული განათლება“. გვიამბეთ ფონდის მიზნების შესახებ.

- 2021 წელს დავაფუძნე ა(ა)იპ „ფონდი „ინტერაქტიული განათლება“, რომლის მთავარი მიზანია მოზარდებში ინტელექტუალური დონის ამაღლება, სოციალური უნარების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, ასევე, განათლების ხარისხის ამაღლება და საქველმოქმედო საქმიანობა განათლების ხელშეწყობის მიზნით. გვაქვს პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ფონდის მიზნების განხორციელებას, ვეწევით საგანმანათლებლო-საინფორმაციო, საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას, ვატარებთ შემოქმედებით, ანალიტიკურ-საზოგადოებრივ ღონისძიებებს, ვგეგმავთ ტრენინგებს, კონფერენციებს, ფორუმებს. ახლა ვემზადებით ძალიან საინტერესო პროექტისათვის, რომელიც საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დაეხმარება პროფორიენტაციაში.

- ჩვენს ქალაქზე, ბათუმზეც ვისაუბროთ. თქვენ ბათუმის ღირსეული წარმომადგენელი ხართ. რასთან ასოცირდება თქვენთვის ეს ქალაქი?

- ბათუმი ჩემთვის არის კაშკაშა მზე, ზღვა და უსაზღვრო სითბო, უდიდესი ენერგეტიკა, ღია ეზოები და ყავის სურნელი, ეთნიკური მრავალფეროვნება და რელიგიური ტოლერანტობა.

- რას ნიშნავს თქვენთვის „ბათუმელობა“?

- იყო ბათუმელი, ამაზე დიდი წოდება და საამაყო სტატუსი არ არსებობს. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა. ბათუმელობა ჩემთვის არის ზრუნვა საკუთარ შვილებზე, სხვის შვილებზე, თითოეულ ჩემს მოსწავლეზე, საზოგადოებაზე, ზრუნვა ქალაქის სულის შენარჩუნებაზე.

- რა პიროვნული მახასიათებლებით უნდა გამოირჩეოდეს ღირსეული ბათუმელი?

- მიმღებლობა და ტოლერანტულობა - ეს არის, ჩემი აზრით, ღირსეული ბათუმელის ყველაზე ღირებული თვისებები.

- შეგიძლიათ, სხვა ქალაქის წარმომადგენლებს შორის ბათუმელი ამოიცნოთ?

- დიახ, პირველ რიგში, საოცარი ბათუმური დიალექტით, საერთო ნაცნობებით, აქ ხომ ყველა ყველას ახლობელია, ასევე, გულწრფელობითა და გულღიაობით.

- რით გამოარჩევდით ბათუმს საქართველოს სხვა ქალაქებისგან?

- მულტიკულტურული ურთიერთობებით, სტუმართმოყვარეობით. კულტურული ჰუმანიზმი ბათუმური ყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

- დაბოლოს, რას ეტყოდით თქვენს ძვირფას თანაქალაქელებს?

- ყური დაუგდონ ქალაქის გულის ფეთქვას, მუდამ მის პულსზე ეჭიროთ ხელი, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. დაფიქრდნენ, ხომ არ აუჩქარდა ქალაქს გულისცემა, ხომ არ შეუნელდა პულსაცია.

> ***„ - ჩემი აზრით, ყველა პედაგოგის მთავარი გამოწვევა მაღალი სოციალური უნარების მქონე მოქალაქის აღზრდაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე არ იფიქრებს და მისი მიზანი ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნა, სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა იქნება. ამაში ძალიან მეხმარება ლიტერატურა. მთავარ მიღწევად კი ის მიმაჩნია, რომ ჩემს მოსწავლეებს, ლიტერატურის დახმარებით, სწორი ხედვა და აზროვნება უყალიბდებათ***

ხიხანის ციხემდე ტურისტული ბილიკი მოეწყო

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ხიხანის ციხესთან მისასვლელ ერთკილომეტრიან ბილიკზე დამონტაჟდა გარემოსთან ადაპტირებული მოაჯირიანი კიბეები, გაკეთდა მოსასვენებელი ადგილები, საქანელა და ფანჩატური

ახალი ბილიკი პირველებმა გიდებმა და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებმა დალაშქრეს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ტურისტული ბილიკი ხიხანის ციხის დალაშქვრის გამარტივების მიზნით კეთილმოაწყო, რაც ციხეზე ასვლას ტურისტებისთვის უსაფრთხოსა და მიმზიდველს გახდის.

ზღვის დონიდან 2236 მეტრზე მდებარე ხიხანის ციხე ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული და რთულად მისასვლელი ციხესიმაგრეა აჭარაში, რის გამოც ის მიმზიდველი ძირითადად მოლაშქრეებისთვისაა.

პროექტის განხორციელების შემდეგ, ხიხანის ციხე ჩირუხი-ხიხანი-გოდერძის მარკირებულ გარდამავალ ალპურ მარშრუტზე მთავარი დანიშნულების ადგილი გახდა, რაც მარშრუტის ხანგრძლივობას ზრდის. გარდა ამისა, შესაძლებელია ციხეზე კულტურულ-სპორტული ღონისძიებების გამართვა და უფრო მასშტაბური პრეს-ინფო ტურების ორგანიზება.

ქედაში „პეგასის“ მე-2 ტური გაიმართა

ქედაში ლიტერატურულ კონკურს „პეგასის“ მეორე ტური გაიმართა, რომლის ორგანიზატორი მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურია

პროექტის მიზანი დამწყებ შემოქმედთა გამოვლენა და საზოგადოებისთვის მათი გაცნობაა.

კონკურსის პირველი ტური ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა, რომელზეც კონკურსანტებმა სხვადასხვა თემატიკაზე პროზაული და პოეტური ნამუშევრები წარმოადგინეს.

- ამჯერად, კონკურსანტებმა ნამუშევრები კომპეტენტურ ჟიურის წარუდგინეს. ინტერმუნიციპალურ ლიტერატურულ კონკურსს ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის რეჟისორი ლია მახარაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლია შაქარიშვილი, ხელვაჩაურის საკრებულოს წევრი გურანდა დოლიძე, ხულოს შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი იზოლდა სურმანიძე, „პეგასის“ კოორდინატორი ნატალი სხალთელი-დავითაძე და პოეტი ქალთამზე-ანა სურმანიძე აფასებდნენ, - გვითხრა კონკურსის ორგანიზატორმა, პოეტმა ნანა შაინიძემ.

მესამე ტური ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ხოლო მეოთხე - აჭარის მწერალთა სახლში გაიმართება.

კონკურსის დასრულების შემდეგ ჟიური გამოავლენს 10 გამარჯვებულს, ასევე გამოვლინდებიან „პეგასი 2023“-ის გამარჯვებულები ხუთ ნომინაციაში.

საწყის ეტაპზე ინტერმუნიციპალურ კონკურსში 42 კონკურსანტი მონაწილეობდა, მათ შორის, 9 ქედის მუნიციპალიტეტიდან იყო. ჟიურის გადაწყვეტილებით, მესამე ტურში 25 მონაწილე იასპარეზებს, მათ შორის 5 კონკურსანტი - ქედის მუნიპალიტეტიდან. გამარჯვებულთა დაჯილდოება ხულოს მუნიციპალიტეტში დღეს გაიმართება. გამარჯვებულებს პროექტის მხარდამჭერებისგან ფასიანი საჩუქრები გადაეცემათ.

ფინალისტებისთვის საჩუქრად გამოიცემა ბროშურა - „პეგასი 2023“, რომელშიც შევა მათი ნაწარმოებები.

გურამ არძენაძის შემოქმედებითი საღამო – ქედაში

80 წელი უკან მოიტოვა პოეტმა, რამდენიმე წიგნის ავტორმა გურამ არძენაძემ. იგი ქედის რაიონის სოფელ დანდალოში დაიბადა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა შუახევსა და ქედაში სხვადასხვა პოზიციებზე იმუშავა

ქობულეთის რაიონში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, პენსიაზე გასვლამდე, საჩინოს სკოლაში მასწავლებლობდა. მშობლიური ქედა რამდენიმე წიგნის ავტორის შემოქმედებას გამორჩეულად აფასებს. ამის დასტური ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის“ საბიბლიოთეკო განყოფილებაში გამართული შემოქმედებითი საღამო იყო სახელწოდებით: „შუქბადრი სხივი მარადისობის“.

საღამოზე კულტურის ცენტრის რეჟისორმა ლია მახარაძემ, კულტურის ცენტრის სპეციალისტებმა, ამავე ცენტრთან არსებული სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების ხელმძღვანელებმა ლეილა ბეჟანიძემ, ხათუნა ჯოჯუამ, თეონა დავითაძემ, მადონა, ნესტან ბერიძეებმა, ნანა ბედინაძემ, სოფო კირკიტაძემ, ციალა აბაშიძემ, მარინა კონცელიძემ, მავილე გათენაძემ, თამარ ბოლქვაძემ, ირინა ბერულავამ, დარიკო გეგიძემ, შორენა ხალვაშმა, მაყვალა თავართქილაძემ, ინგული შავაძემ თემატურად მიმოიხილეს გურამ არძენაძის პოეზია. მათთან ერთად საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მისი პოეზიის მოყვარულები, კოლეგები, თანამოკალმეები, საზოგადოების წარმომადგენლები.

პოემა პირველი ლექსიდან (1957 წელი) დღევანდელობამდე გზა სასახელოდ განვლო, შექმნა მამულის სიყვარულით გაჟღენთილი, აფორიზმებით, ექსპრომტებით, თავისებური მხატვრული ხედვით მდ-იდარი ლექსები და პოემები. ქართული მიწის სიყვარულს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იწყებს პოეტი და მშობლიურ დანდალომდე მიდის, სადაც ჰპოვებს სულის სალბუნს და დიდაქტიკურ-დამრიგებლური ტონით გვთხოვს, გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაკეთოთ მადლი, მამულის სადარაჯოზე ვიდგეთ და უფლის მადლიერნი ვიყოთ.

პოეტს მიესალმნენ ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ავთანდილ დიასამიძე, პუბლიცისტი ოთარ ცინარიძე, მწერალი შაქრო ჩიკვაიძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები - ოთარ ხარაძე, ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე, საბიბლიოთეკო განყოფილების ხელმძღვანელი გულნაზ ხაბაძე, ქედის ხანდაზმულთა კლუბ „ღირსეული სიბერის“ თავმჯდომარე რეზო ბერიძე, კულტურის ცენტრის დირექტორი ჯამბულ სურმანიძე, ძმისშვილი მადონა არძენაძე, რომლებმაც პოეტს მადლობასთან ერთად საჩუქრებიც გადასცეს. ღონისძიება გაალამაზეს პატარა მომღერლებმა დანდალოდან, ქედის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ხატია დიასამიძემ, პოეტის შვილიშვილმა ანასტასია არძენაძემ. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“. საღამოს კულტურის ცენტრის რეჟისორი ლია მახარაძე უძღვებოდა.

რედაქციაში მოქალაქე მოვიდა...

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისის მკვიდრ ლევან ქარცივაძეს თანასოფლელები კეთილ, ალალმართალ, სოფელსა და ქვეყანაზე შეყვარებულ პიროვნებად იცნობენ. 4 შვილის გამზრდელი და 5 შვილიშვილის მომსწრე 73 წლის ლევან ქარცივაძე ახლაც ფიზიკურად შრომობს და ოჯახს ხელს არ აკლებს

იგი წლების განმავლობაში ცენტრი ცხმორისის (ახლანდელი ახოს №1) სკოლის ავტოსაქმის მასწავლებელი იყო. პედაგოგებსა და მოსწავლეებში ავტორიტეტით სარგებლობდა, რაც სკოლაში მომუშავე მასწავლებლებმა, მისმა აღზრდილებმა „აჭარასთან“ საუბარში დაადასტურეს.

- 73 წლისა მოვიყარე. მთელი ცხოვრება საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას მოვახმარე, - გვითხრა ლევანმა, როცა „აჭარას“ სტუმრობდა, - წუთისოფელს არავინ შერჩენია, მაგრამ არ მინდა, ის ცრუ ბრალდება იმქვეყნად გავიყოლო, რაც ზოგიერთებმა წამომიყენეს: თითქოსდა მე ვიყავი მოთავე, სკოლისთვის სახელი შეეცვალათ და ახოს №1 საჯარო სკოლად მოენათლათ. საქმის არსში გაზეთ „აჭარის“ მკითხველი და საზოგადოება უკეთ რომ გაერკვეს, გიამბობთ: წლების განმავლობაში დასახელებულ სკოლაში ავტოსაქმეს ვასწავლიდი. შტატის გაუქმების შემდეგ სკოლის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მთხოვა, სამოქმედო ტერიტორიაზე ჩამოვლა და ხელმოწერების შეგროვება, რათა სოფლაში გაუქმებული საგანი - ავტოსაქმე აღედგინათ. ამ მიზნით კარდაკარ ჩამოვიარე. ყველა გვერდით დამიდგა, ხელი უყოყმანოდ მოაწერეს. გამოხდა ხანი. მათ, ვისაც ცხმორისის სკოლისთვის სახელის შეცვლა სურდათ, ხელმოწერებს ნამდვილი თავფურცელი მოაშორეს და მის ნაცვლად სხვა შინაარსის თავფურცელი დადეს, სადაც ავტოსაქმის აღდგენის ნაცვლად, სკოლისთვის სახელის შეცვლა იყო მოთხოვნილი. სასურველ მიზანსაც მიაღწიეს. იმ დღიდან მოყოლებული, მოსვენება დავკარგე. თანასოფლელები, ჩემი საქმიანობის გულშემატკივრები უკვე ორპირ ადამიანად მიმიჩნევენ, რასაც, ღმერთმანი, არ ვიმსახურებ. მსურს, ცრუ ბრალდება ჩამოვირეცხო და სამართლიანი, სიტყვისა და საქმის ერთგული ადამიანის სახელი აღვიდგინო, - გვითხრა ლევან ქარცივაძემ.

რედაქციისგან: *ჩვენ მკითხველამდე მოვიტანეთ ლევან ქარცივაძის სატკივარი. თუ ამ წერილს გამოხმაურება მოჰყვება, „აჭარა“ მასაც დაუთმობს ადგილს თავის ფურცლებზე.*

ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი

თანამედროვეობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, მეცნიერის, აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემიის ლაურეატის, ფარმაციის დოქტორის, პროფესორ ვლადიმერ მახარაძის უანგარო საქმიანობას სათანადო პატივს მიაგებენ

მრავალ ღონისძიებასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო ქართულ ჭიდაობაში მისი სახელობის ტურნირის დაწესება. წელს ამ სპორტულ პაექრობას შუახევის სასპორტო სკოლის დარბაზმა უმასპინძლა.

სპორტული პაექრობა 2006-2008 წლებში დაბადებულ ნორჩ ფალავანთა შორის ჩატარდა. იგი გახსნა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯემალ წულუკიძემ, რომელმაც ვლადიმერ მახარაძეს მადლობის სიგელი გადასცა. მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, ვლადიმერ მახარაძის ძმა ზურაბ მახარაძე.

ასპარეზობა 6 წონით კატეგორიაში ჩატარდა. 50-55-60-66-73 და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში გამარჯვებულები გახდნენ: გიორგი ტაკიძე (შუახევი), საბა ხიმშიაშვილი (შუახევი), რეზიკო ბასილაძე (ქედა), ბაჩანა ცინცაძე (ქედა), ომარ აბაშიძე (ქობულეთი), ლუკა ნაკაშიძე (ქედა).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე შუახევის, მეორეზე - ქედის და მესამეზე - ქობულეთის ქართული ჭიდაობის ნაკრები გუნდები გავიდნენ. საპრიზო ადგილებზე გასული მოჭიდავეები აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მედლებით, თასებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს. ტურნირი აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

18 ოჯახი ისარგებლებს...

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი თხილაძირი სასმელი წყლის დეფიციტს განიცდიდა. ხულოს მუნიციპალიტეტის მერია, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სოფელ თხილაძირში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებს ატარებს

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 11 კილომეტრზე მილის ჩაწყობა, სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის მოწყობა.

ამ ეტაპზე, სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია. პროექტი მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს დასრულდება, რის შედეგადაც 18-მდე ბენეფიციარი 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

მიმდინარე წელს ხულოში სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია 14 სოფელში განხორციელდება, რისთვისაც ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 1 400 000 ლარამდე დაიხარჯება.

მიმდინარე სამუშაოებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე და საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე გაეცნენ.

„ბანკომატი“ – სპექტაკლი ემიგრანტული ყოფის „სიმსუბუქეზე“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის დრამატული თეატრის რეპერტუარს კიდევ ერთი სპექტაკლი შეემატა. „ბანკომატი“ - ასე ჰქვია ნიკოლოზ საბაშვილის საავტორო სპექტაკლს, რომლის პრემიერა 11 ოქტომბერს გაიმართა. სპექტაკლი მოგვითხრობს ერთი ემიგრანტი ქალის ცხოვრებაზე, თუმცა მსგავსი ბედის ადამიანების კრებსით სახეს წარმოადგენს და იმ ტკივილს უსვამს ხაზს, რაც ემიგრანტული ყოფის სიმძიმეს ახლავს

რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილის თქმით, აღნიშნული სპექტაკლი მადლიერების ერთგვარი გამოხატულებაა იმ ემიგრანტების მიმართ, რომლებსაც ძალიან ბევრი სირთულის გადალახვა უწევთ. მისივე თქმით, სწორედ მათი თავგანწირვა, შრომა და დაუღალავი ბრძოლა არაერთხელ შეეხიდა ქვეყანას კრიზისის დროს.

- სპექტაკლით გვინდა მადლობა გადავუხადოთ და როგორღაც ვაგრძნობინოთ ემიგრანტებს, რომ გვესმის მათი ტკივილის, ტრაგედიის და იმ ქაოსური განცდების, რაც ეუფლებათ. ვიცით, რა მძიმეა შვილების, ოჯახის დატოვება და ემიგრაციაში წასვლა. თუმცა ყველაზე დიდი ტრაგედია ის მგონია, რომ მათ შრომას ბევრი აქ ძალიან ცუდად იყენებს. სამწუხაროდ, მზამზარეული ცხოვრება ბევრისთვის გახდა წესი, არც კი უფიქრდებიან, რის ფასად უჯდებათ ეს მათ ემიგრანტ მშობლებს, ოჯახის წევრებს. შევეცადეთ, სპექტაკლში კომედიის ელემენტები შეგვეტანა, რათა ცოტათი მაინც შეგვემსუბუქებინა ისედაც მძიმე სურათი, რაც, მეტწილად, ახასიათებს ემიგრანტის ყოველდღიურობას. უნდა დავუფასოთ ემიგრანტებს შრომა, უფრო მეტად უნდა გავუფრთხილდეთ და მოვეფეროთ მათ, - გვითხრა სპექტაკლის რეჟისორმა ნიკოლოზ საბაშვილმა, რომელიც სპექტაკლის მხატვარი და მუსიკალური გამფორმებელიცაა.

სპექტაკლში ემიგრანტის როლს მსახიობი თამარ მაყაშვილი ასრულებს, ქალის, რომელმაც საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისთვის გადადო თავი და უცხოეთში წავიდა, ძალიან ბევრი სირთულე გადალახა, საქართველოში დაბრუნებულს კი არაერთი „სიურპრიზი“ დახვდა როგორც ოჯახის წევრების, ასევე გარშემომყოფებისგან.

- მოგეხსენებათ, წინასაპრემიერო ღელვა ყველა არტისტს ახასიათებს და ვღელავდი მეც. საკმაოდ რთული პიესაა, მაგრამ ნიკოლოზ საბაშვილმა მოახერხა, რომ ტრაგიკული საკითხი მოეტანა სიმსუბუქით. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში არის საკმაოდ ხალისიანი, კომედიური სცენები, საბოლოო ჯამში, იგი მოგვითხრობს ქართველი ემიგრანტი ქალბატონების გასაჭირზე, რომლებსაც არაერთი წინაღობა, ტკივილი ხვდებათ წინ. ჩემი პერსონაჟი ბრუნდება საქართველოში, მაგრამ ოჯახი არ მიიღებს, რაც, რა თქმა უნდა, უდიდესი ტკივილია. მოგეხსენებათ, სპექტაკლი დაიდგა ნიკოლოზ საბაშვილის პიესის მიხედვით, რომელიც ნამდვილ ამბებზეა დაფუძნებული. ვფიქრობ, სპექტაკლი შედგა, ყველას ერთად გამოგვივიდა სათქმელის მაყურებლამდე სწორად მიტანა, რაც აპლოდისმენტებში გამოიხატა. სიცილნარევი ცრემლებითა და აღფრთოვანებული ოვაციებით დასრულდა სპექტაკლი. თითქმის ყველას გვყავს ისეთი ახლობელი, ვინც წასულია ემიგრაციაში, შრომობს, ოჯახს არის მოწყვეტილი, ამიტომაც განსაკუთრებით მივიდა მაყურებლის გულამდე სპექტაკლში მოთხრობილი ამბავი. მინდა მადლობა გადავუხადო რეჟისორს, რომ მანდო საკმაოდ საპასუხისმგებლო როლი, ასევე, ყველა მსახიობს, ვინც ამ სპექტაკლში მონაწილეობს. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა ბათუმის დრამატული თეატრის არტისტების გვერდით დგომა და მუშაობა, - უთხრა გაზეთ „აჭარას“ მსახიობმა თამარ მაყაშვილმა.

სპექტაკლში ასევე მონაწილეობენ: მარინა ბურდული, ზაალ გოგუაძე, ლაშა კონცელიძე, მერი ნაკაშიძე, ნატალია გოგიტაური, ჯემალ ველიაძე და დავით წერეთელი.

შეგახსენებთ: სპექტაკლის საპრემიერო ჩვენება 12 და 13 ოქტომბერსაც გაიმართება.

ბექა ბოლქვაძის „ემოციური გათავისუფლება“ და გზა ახლის ძიებისკენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ეს სასწაულია, კოსმოსია, ჩვენ მაღალ ხელოვნებასთან გვაქვს საქმე“, „წაიღეთ ეს გამოფენა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და ისინი კიდევ უფრო შეიყვარებენ ქართულ ხელოვნებას, კულტურას“, „თითქოს მრავალგანზომილებიან სივრცეში ვმოგზაურობ, წარმოუდგენელი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, მართლა არ ვიცი, რა ვთქვა“ - ასეთი შთაბეჭდილებები გამოიწვია მხატვარ ბექა ბოლქვაძის სკულპტურულმა კომპოზიციებმა ადამიანებში, რომლებიც ხელოვნების მუზეუმში გამართულ პერსონალურ გამოფენას დაესწრნენ

მართლაც, არიან ხელოვანები, რომელთა შემოქმედების ნახვის შემდეგ სიტყვებს ვერ პოულობ ემოციების გადმოსაცემად. უბრალოდ, უყურებ, დუმხარ და ფიქრობ, როგორ შეძლო ხელოვანმა შენამდე ასეთი სიცხადით მოეტანა ადამიანის შინაგანი სამყარო, გრძნობების სიღრმე, რომანტიკული ინტონაციების მრავალფეროვნება და ხვდები, სწორედ ეს არის ნამდვილი ხელოვნება, რომ დაგამუნჯებს და, ამავდროულად, მრავალ კითხვას აახმაურებს შენში. ბექა ბოლქვაძის ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნილი სკულპტურები ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე და მასში ჩატეული ვნების, სევდის, სიამოვნებისა თუ მისტიკურობის თავისებურ სინთეზზე მოგვითხრობს. ფერმწერი და გრაფიკოსი ბექა ბოლქვაძე არაერთი პერსონალური გამოფენის ავტორია, თუმცა ქანდაკების მიმართულებით მუშაობა სამი წლის წინ დაიწყო და, როგორც ამბობს, აღმოჩნდა, რომ აქამდე შექმნილი ნამუშევრები ქანდაკების ერთგვარი ესკიზები იყო, რომლების ინსპირაციაც ყოველდღიური ცხოვრებისეული ემოციებია.

- იმდენი დადებითი ემოცია მივიღე გამოფენაზე მოსული ადამიანებისგან, მართლა არ ვიცი, როგორ გამოვხატო მადლიერება. მგონია, სამი წლის განმავლობაში მუშაობისას, რითაც ვივსებოდი ემოციურად, მისგან დღეს გავთავისუფლდი. შეგრძნება მაქვს, რომ სათქმელის რაღაც ერთი ეტაპი დასრულდა და მზად ვარ, გადავეშვა ახალი ემოციებისკენ. ეს პროცესი თითქოს წრეზე სიარულს ჰგავს, ოღონდ ისეთ წრეზე, დასასრული რომ არ უჩანს. ამ სკულპტურებში სიყვარულია, ქალისა და მამაკაცის ერთობაა, ცალ-ცალკე ყოფნის სევდაცაა, პლასტიკაა, ფორმაა, ყველა განცდაა, რომელსაც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა წარმოშობს. ყოველთვის ძიების და ახლის პოვნის, მიგნების პროცესში ვარ. მოგზაურობა, ხატვა, ქარი, წვიმა, მზე, დაცემა, ადგომა ემოციების მთელი ჯაჭვია, რაც გროვდება ჩემში და ვცდილობ, ამ ყველაფერს ხელი არ გავუშვა. სწორედ ამ ემოციებმა გამოძერწეს ქანდაკებები, რომლებიც დღეს ხელოვნების მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში წარმოვადგინე. ყველა ხელოვანს სურს, სწორად მიიტანოს ადამიანებამდე სათქმელი და თუ ამას ახერხებს, ესე იგი მზად არის ახალი თავგადასავლებისთვის, ახალი მიგნებებისთვის, - გვითხრა ბექა ბოლქვაძემ.



- მე ამ გამოფენას დავარქვი: „იქ, სადაც ცხოვრობდნენ ადამი და ევა სამოთხიდან განდევნამდე“, - გვითხრა ხელოვნებათმცოდნე რატი ჩიბურდანიძემ და დასძინა, რომ მასზე ძალიან მოულოდნელი და შთამბეჭდავი ეფექტი მოახდინა ბექა ბოლქვაძის სკულპტურების სამუზეუმო სივრცეში გადმოტანამ.

- ჩვენ ვნახეთ ქალისა და მამაკაცის საიდუმლო, ეზოთერული აღქმა ხელოვანისა. თუ რამ სიტყვებს იტყვი ხელოვნების მიმართ, არამარტივს, ყველაფერი ამ გამოფენას, ამ შემოქმედებას ეხება. ეს უკვე კოსმოსია, რაღაც სხვა განზომილებაა, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ. მისივე თქმით, ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს, რომ ბექა ბოლქვაძის სკულპტურული კომპოზიციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გალერეებში გამოიფინოს.

აჭარის ხელოვნების მუზეუმში ბექა ბოლქვაძის გამოფენა 13 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

განცხადება

2023 წლის 31 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ბათუმში, სასტუმრო „ჩაოს“ (ზურაბ გორგილაძის ქ. №75) საკონფერენციო დარბაზში გაიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ადმინისტრაცია

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რედაქციის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «აზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/10/23, 17 55 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„სახლი ღრუბლებში“ – სპექტაკლი, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებზე გვაფიქრებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

არის სპექტაკლები, რომლებიც ძალიან მარტივად, ზედმეტი გადაპრანჭულობის გარეშე გიყვება ამბავს, რომელიც სწვდება შენს გულს, არაერთგვაროვან ემოციებს აღგიძრავს, გაფიქრებს, გასევდიანებს, ხან სიხარულის, ხან კიდევ სინანულის ემოციას გგვრის

სპექტაკლმა „სახლი ღრუბლებში“, რომლის პრემიერაც ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართა, დარბაზში დამსწრე მაყურებელთაგან ზოგს ცრემლიც კი მოჰგვარა, რადგან ყველამ გააცნობიერა, რომ ჩვენს ცხოვრებაში არსებობენ, ან წარსულში არსებობდნენ ადამიანები, მათ შორის ოჯახის წევრები, რომლებისთვისაც გააზრებულად თუ გაუაზრებლად გული გვიტკენია, შემდეგ კი ძალიან გვინანია, სინდისის ქენჯნას შევუწუხებივართ და ბოდიში მოგვიხდია. ზოგჯერ ვერც მოგვისწრია ბოდიშის მოხდა, ისე წასულან ამქვეყნიდან. სპექტაკლის რეჟისორ პეტრე ჩარგეიშვილის თქმით, მას სურდა, კიდევ ერთხელ ეთქვა საზოგადოებისთვის, რომ ადამიანი და ადამიანური ურთიერთობები ყველაზე ძვირფასი განძია, რომელსაც უნდა გაუფრთხილდე, სანამ არსებობ, თორემ ხვალ შეიძლება გვიანი იყოს სინანული.

სპექტაკლი ერთმოქმედებიანია და მამა-შვილის ურთიერთობაზე, ოჯახურ დრამაზე მოგვითხრობს. მათი დიალოგები იუმორით არის გაჯერებული, რაც მაყურებელს სათქმელის სწორად აღქმასა და გააზრებას უადვილებს. შინაარსის მიხედვით, სოფელში სტუმრად ჩასული ახალგაზრდა კაცი ცდილობს, ალცჰაიმერით დაავადებულ მამას მდგომარეობა შეუმსუბუქოს იმით, რომ მამის ცხოვრების წესით იცხოვროს, რაც ნამდვილად არ აღმოჩნდება ადვილი. უწევს ახირებების ატანა, ჩემოდნით ხელში უმისამართოდ წასულის თამაშ-თამაშით დაბრუნება სახლში. სპექტაკლის დასასრულს ჩანს, თუ როგორ უმტყუნებს შვილს ნერვები და შენიშვნას აძლევს მშობელს, რომელიც მალევე გარდაიცვლება, შვილს კი სინდისის ქენჯნა არ ასვენებს. ნანობს, მამასთან მეტი დრო რომ არ გაატარა. სპექტაკლი გვასწავლის, რომ მეტად მომთმენები და ყურადღებიანები ვიყოთ ერთმანეთის მიმართ, რადგან არავინ ვიცით, ხვალ რას გვიმზადებს ბედისწერა.

- დიდი თემურ ჩხეიძე ამბობდა, მხოლოდ იმ პიესას ვიღებ, რომელიც მეხება, რომელიც მაწუხებსო და მეც ზუსტად მაგ პრინციპით ვიწყებ ხოლმე სპექტაკლზე მუშაობას. დღეს, ალბათ, ყველაზე მეტად გვაკლია ურთიერთობები. ინტერნეტსივრცემ, გაჯეტებმა ძალიან დაგვაშორა ერთმანეთს. ადამიანები ყველაზე ახლოს უნდა იყვნენ ოჯახის წევრებთან, მაგრამ წუთისოფელმა ზოგი რომელ მხარეს გადაგვისროლა და ზოგიც - რომელზე. გავცივდით ერთმანეთის მიმართ, საჭირო დროს ვეღარ ვუთმობთ, ვეღარ ვუსმენთ ერთმანეთს. პიესის მიხედვით, შვილი, რომელიც წასულია სოფლიდან ქალაქში, მიტოვებული აქვს ოჯახი, ფუძე, სადაც გაიზარდა, გადაწყვეტს, ჩავიდეს სოფელში და მარტოდ მყოფი მამა მოინახულოს. სპექტაკლში აღწერილია მამა-შვილის ურთიერთობის ერთი დღე, რომლის განმავლობაშიც არაერთ თემაზე საუბრობენ. მამას, დაავადების გამო, ბევრი რამ აღარ ახსოვს, მათ შორის ვერც შვილს იხსენებს. ვაჟი მამის ამ მდგომარეობის გამო დამნაშავედ გრძნობს თავს, ნანობს, მეტი დრო რომ არ გაატარა მასთან, მიუხედავად იმისა, რომ არ მიაჩნდა კარგ მამად. მუდამ დაკავებული იყო საქმეებით, მექალთანე გახლდათ, არ უყვარდა ცოლი სათანადოდ. ცდილობს, მამის ახირებები აიტანოს, მისი თამაშის წესებით ითამაშოს, მაგრამ ადამიანები ვართ, ძალიან რთულია ემოციების შეკავება და მასაც ნერვები უმტყუნებს, ხმამაღალ სიტყვას შეკადრებს. მამა მალევე გარდაიცვლება და ვაჟი დამნაშავედ გრძნობს თავს. ამ სპექტაკლით საზოგადოებისადმი ჩვენი გზავნილია, რომ სარჩო-საბადებლისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გამო, არ უნდა დავტოვოთ ოჯახები, არ უნდა მივატოვოთ ერთმანეთი. გასაგებია, რომ ევროპაში ფინანსური გაძლიერებისთვის მივდივართ, მაგრამ იქიდან რომ ჩამოვდივართ, გადასხვაფერებული, გაუცხოებული გვხვდება ყველა და ყველაფერი. სპექტაკლში მოთხრობილი ამბავი პირადად მეხება, ვგრძნობ დანაშაულს ბებიის მიმართ, რომელმაც 7 წელი სპექტაკლის პერსონაჟის დაავადებით იცხოვრა. ვგრძნობ, რომ მის წინაშე მეც მიმიძღვის ბრალი. მართალია, არ მიყვირია მისთვის გარდაცვალებამდე, მაგრამ ერთ ხმამაღალ სიტყვასაც კი, რაც მითქვამს, ვნანობ, სინდისი მქენჯნის და განვიცდი. ამ სპექტაკლის დადგმა იყო ერთგვარი ბოდიშის მოხდის მცდელობა ჩემი ბებოს სულთან. აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრია მსგავს სიტუაციაში. არავის სურს ამაზე საუბარი, მაგრამ სპექტაკლის დასრულების შემდეგ ძალიან ბევრი მოვიდა და მადლობა მითხრა, ჩემი ცხოვრება დამანახეთ და დამაფიქრეთო. მინდა ეს სპექტაკლი იქცეს გაკვეთილად არა მარტო იმ ადამიანებისთვის, ვინც ეს გაიარა, არამედ ჩვენი მომავალი თაობისთვის. მინდა მიხვდნენ, რომ თავის შეკავება უკეთესი არჩევანია. აქვე აღვნიშნავ, რომ, ბათუმის დრამატულ თეატრში მუშაობა ძალიან დიდი ბედნიერებაა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მსახიობებს - ნოდარ ძიძიგურს, ზურიკო გორგილაძეს. ყველაზე უფროსი და ახალგაზრდა თაობის თანამშრომლობა შედგა სცენაზე, მათ სწორად მიიტანეს მაყურებლამდე სათქმელი. ასევე, მინდა, მადლობა გადავუხადო თეატრს და მის სამხატვრო ხელმძღვანელ ალექსანდრე ქანთარიას, რომელმაც დაუფიქრებლად, უპირობოდ აუნთო მწვანე შუქი აღნიშნულ პიესას, - გვითხრა პეტრე ჩარგეიშვილმა.

მსახიობ ნოდარ ძიძიგურის თქმით, რომელიც სპექტაკლში მამის როლს თამაშობს, „სახლი ღრუბლებში“ ყველა თაობისთვის უნდა იყოს ერთგვარი ჭკუის მასწავლებელი, უნდა დაფიქრდნენ, რომ მოხუც მშობლებს მეტი ყურადღება და სითბო სჭირდებათ.

სპექტაკლთან დაკავშირებით საკუთარი განცდები ასევე გაგვიზიარა მსახიობმა ზურაბ გორგილაძემ.

- ჩემთვის ძალიან მძიმე იყო ამ სპექტაკლში მონაწილეობა, 5 წლიდან მამა არ მყავს და რაღაც მონატრებულ გრძნობასთან მიმიყვანა ძალიან ახლოს... ჩემი პერსონაჟი ცდილობს და აკეთებს ყველაფერს, რათა საკუთარი მამის წინაშე (მიუხედავად იმისა, რომ მას ოჯახის მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებს) დანაშაული გამოისყიდოს. ასევე, ცდილობს იმ დაავადების შესწავლას, რომელიც მამას აქვს და ისეთი წესებით თამაშს, რომელიც მამამისს დისკომფორტს არ შეუქმნის. როდესაც მსგავსი დაავადება ეწევა ადამიანს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენთვის მაინც არ დაიკარგოს მისი ნამდვილი მე. მართალია, თაობებს განსხვავებული აზრები აქვთ, მაგრამ უფროსი თაობის შეხედულებები კი არ უნდა უკუვაგდოთ, არამედ მათი პატივისცემა უნდა ვისწავლოთ, ერთმანეთს ხელი არ უნდა შევუშალოთ, უნდა მოვეფეროთ და მოვესიყვარულოთ. მინდა, მადლობა გუთხრა ბატონ ნოდარ ძიძიგურს, არაჩვეულებრივ მსახიობს, სპექტაკლის რეჟისორ პეტრეს ჩარგეიშვილს, რომელთან მუშაობაც სასიამოვნო იყო და, რაც მთავარია, მაყურებლებს, რომლებისგან მიღებული ემოციები დიდხანს გამყვებია, - გვითხრა მსახიობმა ზურაბ გორგილაძემ.

საიუბილეო საერთაშორისო ფესტივალი „ერისიონის“ გრანდიოზული კონცერტით დაიხურა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სექტემბრის ბოლოს ბათუმის ხელოვნების ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც ჩვენმა ქალაქმა 8 ოქტომბრის ჩათვლით უმასპინძლა. ფესტივალი ფონდ „ლირას“ ორგანიზებით მეათე წელია, ტარდება. აღნიშნული ფონდი ცნობილმა პიანისტმა, იუნესკოს მშვიდობის არტისტმა, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ 2013 წელს დააარსა

საიუბილეო ფესტივალმა მსმენელს განსაკუთრებულად მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზა (თუმცა თავისი შინაარსით ეს ფესტივალი ყოველ წელსაა გამორჩეული). ჩვენს ქალაქს ცნობილი ხელოვანები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ეწვივნენ.

პროგრამაში, გარდა შესანიშნავი კონცერტებისა, შეტანილი იყო მასტერკლასები, სადაც ნიჭიერ ახალგაზრდებს პროფესიონალებმა მოუსმინეს. ამ მოსმენებზე ყოველწლიურად ჩამოდის (და წელსაც იყო) ცნობილი მუსიკოსი მიშელ სონი.

ფესტივალისთვის მაესტრო დავით მუქერიამ ნიჭიერი მუსიკოსებისგან საფესტივალო ორკესტრი შექმნა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულმა რამდენიმე მუსიკოსმაც უდირიჟორა.

ფესტივალში არაერთი ახალგაზრდა მონაწილეობდა. დიდი დოზით იყო წარმოდგენილი საგუნდო მუსიკაც და ერთი შესანიშნავი საღამო სწორედ მას მიეძღვნა.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ფესტივალი უკვე მეექვსე წელია, იუნესკოს მაღალი პატრონაჟით ტარდება - ბათუმით იუნესკოს დაინტერესება ქართული კულტურის პოპულარობას, ჩვენი ქალაქის პრესტიჟულობას უსვამს ხაზს და ის, რომ ასეთი სოლიდური სტატუსის მქონე ფესტივალი ბათუმში ტარდება, უთუოდ დიდი მონაპოვარია.

ფესტივალზე როგორც უცხოური, ასევე ქართული კლასიკური, ფოლკლორული მუსიკა იყო წარმოდგენილი. ამასთან, საესტრადოც, რაც აქამდე არ ყოფილა, ამიტომ პროგრამამ ყველა გემოვნების მაყურებელი დააკმაყოფილა.

ფესტივალის ბოლო დღეს ბათუმის ხელოვნების ცენტრის მაყურებლით გადაჭედილ დარბაზში ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელწიფო აკადემიური, ერთ-ერთი უძველესი ანსამბლი „ერისიონი“ წარსდგა. მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებულმა „ფერხულმა“, „ხორუმმა“, აფხაზურმა“, „სვანურმა“, „ქართლ-კახურმა საზეიმომ“, „აჭარულმა“, „ჩაკრულომ“ „ოსურმა“, „მარულამ“ და ბევრმა სხვა ნომერმა მოხიბლა დარბაზი, ამიტომაც თითოეულს მხურვალე ტაშით ეგებებოდა.

- ძალიან პოპულარული გახდა ფესტივალი, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა როგორც მის ორგანიზატორს, ისე მხარდამჭერებს - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახლგაზრდობის სამინისტროს, აჭარის მთავრობას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს... არაერთ მხარდამჭერსა და თანამდგომს, ამით ძალიან დიდი საქმე კეთდება. მადლობა ფონდ „ლირას“, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა - ბევრ ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსს უკვალავს გზას. დღეს გამორჩეულად მინდა მოვეფერო ჩემს მსახიობებს, მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ასეთი კმაყოფილები დარჩენილიყავით, მადლობა თქვენ ასეთი გულთბილი მიღებისთვის, - აღნიშნა „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა შერმადინ (ედიშერ) ჭკუასელმა. მან სცენაზე ხელმეორედ გამოიყვანა ანსამბლის სოლისტი თორნიკე გელაშვილი, რომელიც თითქმის ორი ათეული წელია, ანსამბლში მოღვაწეობს და საკუთარი სურვილით დაასრულა კარიერა. მოცეკვავე-მსახიობს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დარბაზმა შესანიშნავი ხელოვნებისთვის. „მიხარია, რომ „ერისიონში“ ჩემს კარიერას ხელოვნების ქალაქში დავემშვიდობე. მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც ჩემთვის აპლოდისმენტები არ დაიშურა“, - გვითხრა მან.

- ფოლკლორის არაჩვეულებრივი საღამოთი დასრულდა ბათუმის მეათე საიუბილეო შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, რომელმაც გააერთიანა როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება. ფესტივალის ფარგლებში აღმოჩენილია არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცემათ, საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანონ ქართული ხელოვნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სიახლე, რომელსაც ფესტივალი გვთავაზობს და ესაა მრავალფეროვნება. ვფიქრობ, ფესტივალი ამ ქალაქში თავის ისტორიას უკვე წერს. ამიერიდან ახალი ათწლეულის ათვლა იწყება, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.